2014 წელი, 27 ნოემბერი - 3 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

ახალი განათლება

№36 (670) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

გვერდი 4

ჩემთვის ცხოვრება აწმყოა, ცოდნა – დღესასწაულია... თანამედროვე განათლება ძნელად ჯდება ამ მოდელში...

სტუმარი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პოეტი ცირა ბარბაქაძე

CRC@25

CONVENTION ON THE RIGHTS OF THE CHILD

არადა, 21-ე საუკუნეა, ბავშვის უფლებათა კონვენცია კი 25 წლისაა

მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ აიღო ვალდებულება და გააცნობიერა, რომ დაიცვან ბავშვის უფლებები. ბუნებრივია, გარკვეული პროგრესი სახეზეა, მაგრამ, როგორც ჩანს, არასაკმარისი, რადგან ჯერ კიდევ მილიონობით ბავშვის უფლება ირღვევა. ამას, მხოლოდ სახელმწიფო ვალდებულება ვერაფერს უზამს, ვიდრე თითოეული ადამიანის დამოკიდებულება არ შეიცვლება და არ ვაღიარებთ, რომ ბავშვს აქვს უფლებები...

გვერდი 3

გვერდი 6

საატესტატო გამოცდის დავალებათა ნიმუშები

იბეჭდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით

გვერდი 7

კაცი, რომელიც 31 წელი უვლიდა „ალავერდს“

გვერდი 8-9

ᲥᲠᲗᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲥᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ

„წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“

ვიქტორინის ფარგლებში, ბოლო შემოთავაზება იყო ახალგაზრდა ქართველი მწერლის, თამრი ფხაკაძის მოთხრობა „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“. შეკითხვები იხ. გვერდი 5

ესტუმრეთ საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ფეისბუკ-გვერდს

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებისა და გაზეთ „ახალი განათლების“ მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს თემაზე „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“.

კონკურსის მიზანია გამოავლინოს საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვება-გამოყენებასთან დაკავშირებული, დღემდე შემონახული ტრადიციები, გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი შესწავლისათვის, ჩართოს ახალი თაობა მივიწყებული ტრადიციების მოძიებასა და ფიქსაციაში.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

პირველი ტური

ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო, აგრეთვე ხელოვნების, შრომის ან სხვა პედაგოგის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შერჩევა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა შემოთავაზებული გეგმის მიხედვით (იხ. **საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა**), თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (თემისათვის, სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი ტრადიცია, რომელიც უკავშირდება გარემოს დაცვას, ბუნებრივი რესურსების მოპოვების წესებს და ბუნების სათუთი გამოყენების ჩვეულებებს.

ასეთი შეიძლება იყოს:

მიწათსარგებლობა და ტერიტორიების დაგეგმვა-გამოყენება: ტრადიციული ნაკრძალების (მაგ. ხატის ტყე) შერჩევა-გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო, მათ შორის სამიწათმოქმედო და სათიბ-საძოვარი მიწების შერჩევა, ტიპოლოგიური დანაწილება და გამოყენება, მასთან დაკავშირებული ადათ-წესები, რიტუალები, ჩვეულებები, ზეპირი გადმოცემები, ინსტრუმენტები.

წიაღისეულის მოპოვება: (მათ შორის მინერალები და სამკურნალო წყლები, ქვა, სხვა წიაღისეული) მოპოვება-გამოყენებასთან დაკავშირებული ტრადიციული წესები, ტექნოლოგიები, ინსტრუმენტები, ატრიბუტები, რიტუალები, ზეპირი გადმოცემები.

ტყის რესურსების გამოყენება: ხის ჭრა და გამოტანა, ტყის პროდუქტის შეგროვება.

წყლის რესურსების, მათ შორის სასმელი წყლის მოპოვება-გამოყენება: მასთან დაკავშირებული ადათ-წესები, ზეპირი გადმოცემები, რიტუალები, ინსტრუმენტები, ატრიბუტები.

მონადირეობა/მეთევზეობა: მასთან დაკავშირებული ადათ-წესები, რიტუალები, ჩვეულებები, ზეპირი გადმოცემები, ინსტრუმენტები.

სამედიცინო რესურსების მოპოვება-გამოყენება: მცენარეული, მინერალური და სხვა წამლების, მალამოების ბუნებრივი ინგრედიენტების შეგროვება-დამზადებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული წესები, ტექნოლოგიები, რიტუალები, ინსტრუმენტები, ატრიბუტები, ზეპირი გადმოცემები.

ბუნების მოვლენებთან (ციური მნათობები, ამინდი: გვალვა, სეტყვა, წვიმა, თოვლი, ზვავი, ქარიშხალი და ა.შ., მზის და მთვარის დაბნელება) დაკავშირებული ადათ-წესები, ზეპირი გადმოცემები, ორნამენტები, ატრიბუტები და რიტუალები.

სხვა რამ, რაც უკავშირდება ეკოლოგიასა და ბუნების დაცვას, ბუნებრივი რესურსების მოპოვება/გამოყენებას.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში, ან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com ნამუშევრებს, გაზეთის რედაქციასთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები. **გადმოგზავნის ვადაა 2015 წლის 1 თებერვალი.**

საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების ხელმძღვანელობით, მათ მიერ შერჩეულ ნიმუშზე შეავსებენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სააღრიცხვო ბარათს. შედგენილი მასალები განიხილება კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტების მიერ, მათი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად წარდგენის მიზნით.

საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორები (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდებიან საგანგებო სიგელითა და წოდებით „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“. საუკეთესო ნამუშევრები აგრეთვე გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ. ელმისამართი)*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ. ელმისამართი)*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში მიუთითეთ ყველა სათაური და გაუკეთეთ კომენტარი)
7. ნიმუშის მოკლე აღწერა

მოკლე აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- *რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*
- *ტრადიციული და ამჟამინდელი (თუ განსახვავებულია) სახელწოდება;*
- *ზოგადი აღწერილობა – სად, როდის, რისთვის და ვის მიერ მზადდება/გამოიყენება/სრულდება;*
- *გამოყენების/შესრულების ტექნოლოგია – ნედლეული მასალა, მისი შერჩევა, მოპოვება, დამუშავება, ტრანსპორტირება, ნიმუშის მოპოვებისა და გამოყენების ტექნოლოგიის აღწერა, დამზადების ინსტრუმენტები, სხვა საჭირო ატრიბუტები და გარემოებები (წელიწადის დრო, ამინდი, ა.შ);*
- *ორნამენტი;*
- *შემსრულებლები (ხის მჭრელი, წიაღისეულის მომპოვებელი, მქარგავი, ექიმბაში და ა.შ), მათი წეს-ჩვეულებები და რიტუალები;*
- *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის პრაქტიკირებისათვის;*
- *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ ან სამეურნეო, რელიგიურ ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ თქვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალურობა ან ორიგინალურობა) პირადად თქვენთვის (ოჯახისთვის, სკოლისთვის, სოფლისთვის...) და საზოგადოებისთვის.*

სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს 400- 500 სიტყვას.

სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), დამატებით, ასევე შესაძლებელია ჩანახატის, ჩანახაზის, შაბლონის, სქემის, ესკიზის და სხვა თვალსაჩინო მასალის წარმოდგენა.

გვეკონტაქტეთ: **სამუშაო დღეებში**
(32)298-39-24 – 13სთ-დან 15სთ-მდე
ან 599 08 40 03;
aramaterialuri@yahoo.com
მაკა თაქთაქიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი
იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ასოციაცია „ზეკარმა“ სპეციალურად სკოლებისა და მასწავლებლებისთვის შექმნა სერია „მასწავლებლის ბიბლიოთეკა“. სერიის ფარგლებში მომზადებული და გამოშვებული წიგნები და პორტფოლიოები დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან თითოეული მათგანი მასწავლებელს აწვდის საჭირო ინფორმაციას, უღრმავებს ცოდნას და უიოლებს მუშაობას.

რადგან განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა, მასწავლებლის ახალმა პროფესიული განვითარების სტანდარტმა, ოცდამეერთე საუკუნის ზოგადმა პრიორიტეტებმა, ევროინტეგრაციისკენ სწრაფვამ სკოლა და მასწავლებელი მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მუდმივად ზრუნავდეს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. ამასთან მნიშვნელოვანია, მასწავლებელს მიეწოდოს ისეთი რესურსები, რომლებიც დაეხმარება ეფექტურ მუშაობაში. ასოციაცია „ზეკარის“ მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნები და პორტფოლიოები მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც მასწავლებლისთვის, ასევე სკოლის ბიბლიოთეკებისთვის.



მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2014-2015 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5.50 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი



მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23 – „ახალი განათლების“ რედაქცია

არადა, 21-ე საუკუნეა, ბავშვის უფლებათა კონვენცია კი 25 წლისაა

ლალი ჯელაძე

ძალიან დიდი ხანია, რაც ბავშვის უფლებებს ჩემი ცხოვრება უკავშირდება. გადავხედე წარსულს და აღმოჩნდა, რომ 16 წელია ბავშვის უფლებების თემებზე სტატიებს ვწერ. როცა პირველად ამ თემას შევეხე, საქართველოში ჯერ კიდევ აქტუალური იყო „ბავშვის უფლებების კონვენციის“ პოპულარიზება. მეც ჩავერთე ამ პროცესში. 1998 წლიდან, გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით, გამოიცემოდა მზურნველობამოკლებული ბავშვების უფლებების დასაცავად გაზეთი „მაუგლი“, რომელიც გაზეთ „ახალი განათლების “ დამატება იყო. მე სწორედ ამ გაზეთში ვმუშაობდი. გაზეთის რედაქტორი პაატა ვეშაპიძე ერთ დღეს მეძახის და მეუბნება, რომ შემდეგი ნომრიდან „მაუგლის“ რედაქტორი იქნებიო. ცოტა შემაშინა ასეთი დიდი პასუხისმგებლობის აღებამ. თუმცა, თემატიკა იმდენად მტკივნეული იყო, რომ, ბუნებრივია, უარი არ ვთქვი. ასე გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში თემა, რომელმაც „მაუგლის“ პროექტის დასრულების შემდეგაც (5 წელი გასტანა) ჩემში ორგანულად ჰპოვა გაგრძელება – ვაგრძელებ წერას ბავშვის უფლებებზე.

როგორია 16 წლის გადასახედიდან დღეს ბავშვის უფლებები საქართველოში. ბუნებრივია, ბევრი რამ შეიცვალა იუნისეფის ძალიან სერიოზული ძალისხმევით, მაგრამ ბავშვები ჯერ კიდევ განიცდიან ძალადობას, მათი უფლებები ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა.

ჩემი რესპოდენტები ბავშვთა სახლის აღსაზრდელები, მათი პედაგოგები და ძიძები, ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციისა თუ სახელმწიფო სტურქტურის წარმომადგენელები იყვნენ, ვინც ბავშვის უფლებებზე ზრუნავდნენ. ძალიან ხშირად ბავშვთა სახლებიდან დამძიმებული და ცრემლმორეული ვბრუნდებოდი. დამეთანხმებით, რთულია უყურო ბავშვს, რომელსაც ყოველ შენს გამოჩენაზე თვალები უბრწყინდება და გრძნობ, გულწრფელად გელოდება, გადაგეხვევა და იწყებს ამბების მოყოლას, როგორ არის, რა აწუხებს, რაზე ოცნებობს. პრობლემა უამრავია. ჩაბნელებული, გაურემონტებელი, უსახური შენობები, წყალი არ აქვთ, შეშის ღუმელით თბებიან, კვირაში ერთხელ თუ დაბანეს, დიდი მიღწევაა. საკვები? საკვებიც მწირი, თუმცა უხალისოდ თავის ულუფას მაინც არ მიირთმევენ. თითო ბავშვის გამოკვებისთვის, დაახლოებით, 2 ლარია გათვალისწინებული. ტანსაცმელი, ძირითადად, შემოწირულობაა, მეორადი, აღმზრდელები სულ წუხან, რომ უფრო ფეხსაცმელი უჭირთ. მდგომარეობა გაუსაძლისია. ოთახში სუნიც კი ისეთივე მძიმეა, როგორი მდგომარეობაცაა. როგორც ვთქვი, სტუმრები უყვართ, სიახლეს ელოდებიან. თავის სურვილებს ხშირად ფურცლებზე წერენ, ვინც წერა იცის და მატანენ. ერთი და იმავე ბავშვთა სახლში წელიწადში რამდენიმეჯერ ჩავდივარ. მეც ვეღარ ვძლებ ხოლმე, ისე მაინტერესებს, როგორ არიან. ყოველ ჩასვლაზე ერთი და იგივე მდგომარეობა მხვდება – ნაცრისფერი დღეები და ზამთრის სუსხი... არის შემთხვევები, რომელიც დღესაც არ მავიწყდება. სამტრედიის სპეცსკოლაში ერთი პატარა ბიჭი წერილს მატანს მერაბ სანიკიძესთან, რომელიც მაშინ განათლების სამინისტროს არასრულწლოვანთა საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობდა. *„ძია, მერაბ, გთხოვ ფენოვანი ხაჭაპური გამომიგზავნე.“*. ეს ბიჭი მერაბმა ჩაიყვანა სკოლაში, ძალიან რთული წარსული აქვს და იქ თავს ძალიან მძიმედ გრძნობს, თანაგრძნობას ვერავის სთხოვდა და ისევ მერაბს მიმართა. გულმოკლული მოვდივარ, არადა, ვინ იცის იქ როდის ჩავალ... მისი დები თბილისში, ერთ-ერთ ბავშვთა სახლში, იზრდებოდნენ, მათთან ურთიერთობა დღესაც მაქვს, რედაქციაშიც მსტუმრობენ ხოლმე, ახლა მათ ოჯახები ჰყავთ და შვილებს ზრდიან. ახლაც ფიქრობენ, რომ დედამ საუკეთესო გამოსავალი იპოვა, ბავშვთა სახლში რომ მიიყვანა, სხვაგვარად ვერ გადარჩებოდნენ.

საოცარია, არაფერზე წუწუნებდნენ, ამბობდნენ, რომ თავს კარგად გრძნობენ, ერთადერთს, რასაც ყველა ნატრობდა, დედის გამოჩენა იყო... ისინი კი არ ჩანდნენ... არც ერთი ბავშვი დედას არ ადანაშაულებდა იმის გამო, რომ ქუჩაში მოუწია მათხოვრობა თავის გამოსაკვებად, ყველა ამბობდა, რომ დედა ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო და სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. არადა, მათ ყოველ დღე ელოდნენ. ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე ბავშვთა სახლის ეზოს დიდი ჭიშკარი ჰქონდა. იქ არც ერთხელ არ მივსულვარ, რომ ამ ჭიშკარზე ათობით ბავშვი არ ყოფილიყო ხელჩაჭიდებული და ქუჩაში მოცქირალი, დედებს ელოდნენ...

მას შემდეგ წლები გავიდა და საბავშვო სახლები დაიხურა. კიდევ კარგი, წარსულს ჩაბარდა ეს საბჭოური გადმონაშთი. ბევრი რამ შეიცვალა. ვფიქრობ, ყველაზე კარგი, რაც ამ მიმართულებით გაკეთდა, დეინსტიტუციონალიზაცია იყო – ყველა ბავშვს აქვს ოჯახურ გარემოში ცხოვრების უფლება. ვფიქრობ, ბავშვებისთვის ამ უფლების წართმევა ყველაზე დიდი დანაშაულია. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, როგორია ის ოჯახური გარემო, სადაც ბავშვს უწევს ცხოვრება. ხშირად მოძალადე მშობლების მსხვერპლი ბავშვების მომავალი ცხოვრება დაულაგებელი და მძიმეა. სწორედ ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა ახდენს უმნიშვნელოვანეს გავლენას მათ ჩამოყალიბებაზე და ასეთი ბავშვები თავად ხდებიან მოძალადეები ან დამნაშავეები, ხშირად სასტიკი დამნაშავეებიც კი.

სულ მახსენდება ჩემი ბავშვობის მეგობარი, რომელსაც ძალიან მძიმე ბავშვობა ჰქონდა. მამა ციხეში იჯდა, მძიმე მუხლით გაასამართლეს – გაუპატიურება. ოჯახი ძალიან ჩაიკეტა, საზოგადოებისგან უარყოფილი აღმოჩნდა. მას არსად უშვებდნენ ჩვენთან ერთად, სკოლის შემდეგ სახლში ხშირად მარტო ბრუნდებოდა, მასთან მეგობრობას ჩემს თანატოლებს უშლიდნენ. დედამ მითხრა, შენ არაფრით გზღუდავ, არ აგრძნობინო და იმეგობრეო. მართლაც ის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. ერთხელ თანაკლასელებმა სკოლის შემდეგ სასეირნოდ წასვლა გადავწყვიტეთ. მთელმა კლასმა ვთხოვეთ დედას, ჩვენთან ერთად გამოეშვა. დაგვთანხმდა და სიხარულით წავედით. მერე, როგორც ხდება ხოლმე, სახლში დაბრუნების დრო ვერ განვსაზღვრეთ. ჩემი მეგობარი ძალიან ღელავდა, ამბობდა დედა მომკლავსო. დაღამდა და ჩვენც სახლში დავბრუნდით. ავტობუსი გაჩერდა, სამი გოგონა ერთად ჩამოვედით, ერთმანეთთან ახლოს ვცხოვრობდით. გაჩერებაზე დედები და ოჯახის წევრები გველოდებოდნენ. ვიცოდით, აუცილებლად გაგვიბრაზდებოდნენ. ასეც მოხდა, მაგრამ ის დედამ ჯოხით ჩვენ თვალწინ სასტიკად სცემა. ერთი კვირა სკოლაში არ გამოჩენილა, მაშინ მეცხრე კლასში ვიყავით. მე სახლში გავუარე და ვთხოვე, სკოლაში წამოსულიყო, წამოვიდა, მაგრამ იცით რა მითხრა? რომ გავიზრდები, ყველაფერს გავაკეთებ, რომ მამა ძალიან გავამწაროო. მაშინ, რა თქმა უნდა, ამას ყურადღება არ მივაქციე და ვერ გავაანალიზე. გავიდა წლები და ყველაფერი ისე მოხდა... ოჯახი მართლა გაამწარა თავისი ცხოვრებით.

დღესაც ყველაზე ხშირად ბავშვები ძალადობას ოჯახში განიცდიან. ამის უამრავი მაგალითია. არადა, დღესაც საზოგადოება ისეთივე გულგრილია, როგორც მაშინ, ჩემი მეგობრის ცემის დროს აღმოჩნდა. საბოლოო ჯამში კი, ეს გულგრილობა საზოგადოებას უბრუნდება ბუმერანგად. ძალადობას ვერც მხოლოდ ოჯახი და ვერც რომელიმე კონკრეტული უწყება ვერ აღმოფხვრის, ეს მთლიანი რგოლია, რომელშიც ნებისმიერი ინდივიდი მნიშვნელოვანი მონაწილეა, მაგრამ როგორც ჩანს, არც თუ კარგი მონაწილეები ვართ, რადგანაც ხშირად ეს რგოლი ჩვენივე არასწორი ქმედებით ან უბრალოდ გულგრილობით ირღვევა.

საოცარია, მილიონობით ბავშვი ჯერ კიდევ ძალადობის მსხვერპლია. არადა, 21-ე საუკუნეა, ბავშვის უფლებათა კონვენცია კი 25 წლისაა. უმძიმესია სტატისტიკაც, ყურადსაღებია ის ფაქტებიც, რომ იუნისეფის კვლევებით ძალადობის მეთოდებით ბავშვის აღზრდას ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ჰყავს მომხრეები – მოსახლეობის 45 პროცენტი ამართლებს, 60 პროცენტი კი ფიქრობს, რომ აღზრდის მკაცრი მეთოდები გაცილებით ეფექტურია, ვიდრე არაძალადობრივი.

ბავშვის ფსიქოლოგიურ ძალადობას ან მსუბუქ ფიზიკურ ძალადობას ძალადობად არ მიიჩნევენ. დედების დიდი ნაწილი კი ფიქრობს, რომ საკუთარი შვილის აღზრდის მეთოდი მხოლოდ მისი გადასაწყვეტია.

წლების განმავლობაში მზურნველობამოკლებულ ბავშვებთან ურთიერთობამ ძალიან ბევრი რამ მასწავლა და დამანახა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვისთვისაც კი დედა და ოჯახი ხელშეუხებელია. ამიტომ მინდა დედებს ვთხოვო, დაიცავით თქვენი შვილების უფლებები, მათ ხომ ყველაზე მეტად თქვენ უყვარხართ! სამწუხაროა, რომ ეს მოწოდება დღეს კიდევ უფრო აქტუალურია. არადა, 21-ე საუკუნეა, ბავშვის უფლებათა კონვენცია კი 25 წლისაა, მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ აიღო ვალდებულება და გააცნობიერა, რომ დაიცვან ბავშვის უფლებები. ბუნებრივია, გარკვეული პროგრესი სახეზეა, მაგრამ, როგორც ჩანს, არასაკმარისი, რადგან ჯერ კიდევ მილიონობით ბავშვის უფლება ირღვევა. ამას, მხოლოდ სახელმწიფო ვალდებულება ვერაფერს უზამს, ვიდრე თითოეული ადამიანის დამოკიდებულება არ შეიცვლება და არ ვაღიარებთ, რომ ბავშვს აქვს უფლებები...

თვალსაზრისი

გერმანული „Schultüte“ იმერეთის სკოლაში

ნოემბრის ერთ დღეს კურსების საჯარო სკოლას (დირექტორი – **თამარ ზარნაძე**) საპატიო სტუმარი ეწვია – ბერლინელი **დიანა შლუხტმანი** აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) ლექტორი. ჩვენ სკოლას ამ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მრავალწლოვანი ტრადიცია აქვს. ქალბატონი დიანა სიამოვნებით დაგვთანხმდა მონაწილეობა მიეღო სასკოლო პროექტში „Deutsch – Warum nicht?“/„გერმანული – რატომაც არა?“.

გერმანელ სტუმარს კურსების სკოლაში მეგზურობა ჩვენი პარტნიორი სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლის (დირექტორი – **მაია მამისეიშვილი**) გერმანული ენის გამოცდილმა პედაგოგმა **ხათუნა მინდიაშვილმა** გაუწია.

სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლის VI-კლასელებმა (ხელმძღვანელი – **მაია გურეშიძე**), მშობლების არჩევანით, მეორე უცხო ენად გერმანულის შესწავლა გადაწყვიტეს. ამის შემდეგ, „შესავალი კურსისათვის“, თბილისის გოეთეს ინსტიტუტთან თანამშრომლობით, საინტერესო მასალები მოგვაწოდა ქალბატონმა **ეკა შავერდაშვილმა**, რომელიც ქალბატონ **მანანა ახალკაცთან** ერთად საშუალო სკოლების გრიფმინიჭებული გერმანული ენის სახელმძღვანელოების ქართული ადაპტაციის ავტორია.

VI კლასთან მუშაობის გამოცდილება მქონდა და დიდი მონდომებით შევუდექი მოსწავლეებთან გერმანული ენის სწავლებას. შედეგმაც არ დააყოვნა და ბავშვებმა მალევე გამოამჟღავნეს ინტერესი შესასწავლი ენის მიმართ. მოსწავლეებთან შეთანხმებით, გადავწყვიტე ისინიც ჩამერთო ზემოთ აღნიშნულ პროექტში.

საუკუნოვანი ტრადიციის მიხედვით, გერმანიაში, განთქმულ „სასკოლო ჩანთას-„Schultüte“ (კანფეტებით და სხვა ტკბილეულით სავსე) პირველკლასელები იღებენ, რათა მათი პირველი სასკოლო დღე განსაკუთრებით დატკბეს. ეს ტრადიცია იმდენად მხიბლავდა, რამდენიმე წელია ჩვენს სკოლაშიც დავნერგე. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას ის მოსწავლეები მიიღებდნენ, ვინც პირველ ნაბიჯებს დგამდა გერმანული ენის შესწავლაში. ამჯერად კი, ამ ტრადიციას მეექვსეკლასელთა პროექტი უნდა „დაემშვენებინა“. საკუთარი ძალისხმევით დავამზადე საჭირო რაოდენობის „Schultüte“ და ტკბილეულიც მოვათავსე მათში.

მოსწავლეები ხალისიანი განწყობით შეხვდნენ საპატიო სტუმრებს. სიამოვნებით წარმოადგინეს 2 თვის განმავლობაში შესწავლილი მასალა. ითანამშრომლეს და დიალოგები გამართეს გერმანელ სტუმართან და გეგუთელ პედაგოგთან. გერმანულ ენაზე შეასრულეს სიმღერები, ლექსები, ინსცენირებები, პაექრობდნენ გერმანული ენის წერისა და კითხვის კომპეტენციებშიც.

პროექტის მსვლელობას ესწრებოდნენ მეექვსე კლასის მშობლები და ცნობისმოყვარე ორი ბებოც კი. გერმანელ ლექტორს განსაკუთრებული მისიაც ჰქონდა დაკისრებული. მან სიამოვნებით გადასცა ყველა მოსწავლეს „Schultüte“ და წარმატებები უსურვა გერმანული ენის შესწავლაში. დასასრულს, დიანა შლუხტმანმა ისაუბრა თავისი მოღვაწეობის შესახებ ქუთაისის უნივერსიტეტში და დამსწრე საზოგადოებას და მოსწავლეებს გააცნო, რა შესაძლებლობა ექნებათ მათ უცხოეთში სწავლისათვის, თუ კარგად დაეუფლებიან გერმანულ ენას. სკოლის დირექტორმა თხოვნით მიმართა გერმანელ ლექტორს გააგრძელოს თანამშრომლობა და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სახის გერმანულენოვან ღონისძიებებში. ქალბატონი დიანა კვლავაც დაგვპირდა თანადგომას და ვიზიტებს.

კმაყოფილი იყვნენ მშობლებიც, როცა შვილების ბედნიერ და გახარებულ სახეებს ხედავდნენ. ეს სამახსოვრო და დაუვიწყარი დღე სათანადოდ აისახა ფოტო და ვიდეომასალებში. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს გერმანელ და ქართველ კოლეგებს, სკოლის პედაგოგებს და მოსწავლეთა მშობლებს. „კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია“ – გვასწავლის ცნობილი ანდაზა. მწამს, რომ ჩემს აღსაზრდელებთან ერთად კიდევ შევმატებთ მშობლიური სკოლის ისტორიას საინტერესო დღეებს.

ნატო აბესაძე
გერმანული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული პედაგოგი

სტუმარი

ჩემთვის ცხოვრება აწმყოა, ცოდნა – დღესასწაულია... თანამედროვე განათლება ძნელად ჯდება ამ მოდელში...

ცირა ბარბაქაძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სემიოტიკის კვლევით ცენტრს ხელმძღვანელობს, რომლის მიზანია უნივერსიტეტში და, ზოგადად, ქართულ ჰუმანიტარულ სივრცეში, ახალი სამეცნიერო მიმართულების შემოტანა და ამ მიმართულებით კვლევის გააქტიურება. მისი სალექციო კურსები ძალიან საინტერესო თემებს მოიცავს – რა არის პოეზია, პოეტები და მუზები; მეტაფორების სამყარო და სამყარო მეტაფორებში; რიტორიკა, სემიოტიკა. სტუდენტების საყვარელი ლექტორი ინტერვიუში თავად ისაუბრებს ამ და სხვა მიმართულებებზე.

– მრავალმხრივ საინტერესო ადამიანი ხართ, ამიტომ მიჭირს თემის არჩევა, რომლითაც საუბარს დავიწყებთ. მოდი, სემიოტიკით დავიწყოთ – პირველ რიგში, რა არის სემიოტიკა? „შეხედეთ სამყაროს სემიოტიკის თვალით და აღმოაჩინეთ საკუთარი თავი მრავალ განზომილებაში“ – ეს თქვენი სიტყვებია და გვირჩიეთ, ეს როგორ გავაკეთოთ?

– იმ მეცნიერების შესწავლა, რომელშიც მუშაობ, არ სრულდება... ჩვენ რომ ზუსტად ვიცოდეთ პასუხი კითხვაზე: რა არის სემიოტიკა? – მაშინ აღარც გამოვიკვლევდით. მე შემიძლია გითხრათ, რატომ გახდა სემიოტიკა აქტუალური. ამის მრავალი მიზეზი არსებობს: ჯერ კიდევ სოსიური წერდა, რომ მომავალში იარსებებს მეცნიერება – სემიოლოგია – რომელშიც ლინგვისტიკა იქნება ერთი კერძო დარგი. სემიოტიკა ერთგვარად გლობალური მეცნიერებაა, ყველა მეცნიერების საერთო ენა... ეს ახსნა უკვე მეტაფორულია, მაგრამ ამას ვერ გავექცევით, საერთოდაც, ენა და მეტყველება უკვე აზრის მეტაფორაა...

ჩვენ ვცხოვრობთ ფორმათა (საგანთა) სამყაროში, სადაც ყველაფერი განიხილება, როგორც ნიშანი (როგორც ენა): დაწყებული შუქნიშნებიდან ფუტკართა ნიშნურ ქცევებამდე, მათემატიკურ-ლოგიკური ენიდან ფერწერულ ხატებამდე... ანუ: სამყარო ერთი დიდი ტექსტია, განსხვავებული ენებით სავსე. იმისათვის, რომ ავხსნათ სამყარო და საკუთარი თავი, განსხვავებულ ნიშანთა სისტემები უნდა შევისწავლოთ. შესწავლის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი „ენა“ ჯერაც არ არის აღმოჩენილი და აღმოჩენის შემთხვევაშიც, აუცილებელი იქნება სისტემაში მოყვანა, სხვაგვარად ვერ წაიკითავ ან არასწორად წაიკითხავ... განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს სემიოტიკური კვლევები ხელოვნებისა და სოციოკულტურულ სფეროებში: დღეს სემიოტიკა შეისწავლის არქიტექტურის, მოდის, რეკლამის, რიტუალის ენას...

ენა ნიშნურ სისტემებს შორის ყველაზე სრულყოფილი სისტემაა, ამიტომ ამ მოდელის გადატანა და შესწავლა ხდება სხვა „ენებზე“. ასეთ შემთხვევაში, ლინგვისტური ენა გამოდის საფუძველი, სწორედ ამას გულისხმობდა ემილ ბენვენისტი, როდესაც წერდა, რომ „ენა არის ყველა სხვა სისტემის ინტერპრეტატორი“. საინტერესოა აგრეთვე პოლ რიკიორის განმარტებაც: სემიოტიკა სხვა არაფერია, თუ არა ყოფიერების შემეცნების განუწყვეტელი პროცესი, „განუწყვეტელი სვლა აშკარა აზრიდან ფარული აზრისკენ“.

ამ განმარტების მიხედვით, სემიოტიკის მიზანი ყოფილა ნიშნების აღმოჩენა, შესწავლა, ინტერპრეტაცია და მათი საშუალებით მთავარი აზრის მიგნება... უნიშნობამდე, უფორმობამდე მისვლა... სადაც სიტყვა წყვეტს სიტყვად არსებობას, ნიშანი წყვეტს ნიშნად არსებობას, ფორმა წყვეტს ფორმად არსებობას.... სადაც ყველაფერი განუმარტავია.... ფორმათა იქით სემიოტიკა წყვეტს სემიოტიკად არსებობას...

რაც შეეხება საკუთარი თავის მრავალ განზომილებაში აღმოჩენას... ვფიქრობ, ადამიანიც, საბოლოო ჯამში, ნიშანია... თითოეულ ადამიანს აქვს თავისი სალექსიკონო მნიშვნელობაც და კონოტაციური მნიშვნელობებიც... ისიც შეიძლება განვიხილოთ: სინტაქტიკურ, სემანტიკურ და პრაგმატიკულ დონეებზე... აი, მაგალითად, როდესაც კონტექსტის მიხედვით, ადამიანი განსხვავებულად გამოიყურება (როგორც სიტყვა) და ხშირად ისეთ თვისებას ან ქცევას აღმოაჩენს საკუთარ თავში, რომელიც მანამდე არ ჰქონდა ან არ ეგონა, რომ ჰქონდა... ამას სემიოტიკაში სემიოზისის პროცესი ეწოდება. იმის მიუხედავად, რომ ნიშანს აქვს მნიშვნელობა, ის არასდროს არ ქმნის ჩაკეტილ სისტემას. ასევე ადამიანი არ არის (არ შეიძლება იყოს) ერთფეროვანი და ერთგანზომილებიანი... კონტექსტები განაპირობებენ ჩვენს ახალ მნიშვნელობებს, კონტექსტებს ჩვენი ფუნქციები განაპირობებს... ასე რომ, ცვალებადები ვართ ერთი ფორმის ფარგლებშიც და მუდმივი ტრანსფორმაცია ჩვენი ახალი განზომილებების წყაროა... ამით ვხდებით საინტერესოები... მეტაფორულად შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანი მრავალფოკუსიანი არსებაა, ის შეიძლება განსხვავებული იყოს იმის მიხედვით, რა მანძილიდან ვუყურებთ, რას ვაკვირდებით, ვის გვერდითაა და რას აკეთებს... ასევე შეგვიძლია შევხედოთ საკუთარ თავსაც და როგორც დაინახავთ, გამიზიარეთ...

– ილიას უნივერსიტეტში შეიქმნა სემიოტიკის ცენტრი და დამოუკიდებელ დისციპლინად ისწავლება, თქვენივე რედაქტორობით გამოიცემა ჟურნალი „სემიოტიკა“, სადაც იბეჭდება მკვლევართა ნაშრომები. რა თემები მოხვდა კვლევების არეალში და როგორია სტუდენტთა ინტერესი ამ მეცნიერებისადმი?

– საერთოდ, სიახლე ინტერესს ყოველთვის იწვევს, თუნდაც ის ფაქტი, რომ გაჩნდა კითხვა: *რა არის სემიოტიკა..?* რომელზეც პასუხი არც ცალსახაა და არც საბოლოო, – უფრო მეტი ინტერესის წყაროა... სემიოტიკა ისეთი სივრცეა, რომელშიც თავისუფლად შეგიძლია შენი სივრცე შემოსაზღვრო და იკვლიო... ამით ის საინტერესოა. წელს სემიოტიკის ჯგუფის მსმენელები თეატრის სემიოტიკას იკვლევენ, სწავლობენ, სპექტაკლებს აკვირდებიან ამ მიმართულებით, განიხილავენ და პატარა კვლევით პროექტებს წერენ... მომავალ სეზონზე სხვა თემა იქნება შეთავაზებული და ასე... არასდროს მოიწყენენ, რადგან მრავალფეროვანი მეცნიერებაა...

დღემდე გამოცემულია სამეცნიერო ჟურნალ „სემიოტიკის“ 14 ნომერი. თემატიკა განსხვავებულია: ენისა და ლიტერატურის სემიოტიკა, სემიოტიკის თეორია და ისტორია, კულტურის სემიოტიკა – ეს ის მიმართულებებია, რომლებიც ჟურნალშია წარმოდგენილი. უფრო მეტადაც ვკონკრეტდებით და სემიოტიკის კონფერენციები უფრო თემატურია. ერთ კონცეპტს იკვლევს: ენათმეცნიერი, ლიტერატორი, რელიგიათმცოდნე, კულტუროლოგი და სხვა... ასე წარმოდგენილი კვლევა აერთიანებს განსხვავებული დარგის მეცნიერებს ერთ ხედვაში და ძალიან საინტერესოა... მაგალითად, სემიოტიკის კონფერენციებზე განხილული კონცეპტებია: ზღვა, გზა, სივრცე, დრო, მეტაფორა... მომავალ კონფერენციაზე ქალაქის სემიოტიკა იქნება წარმოდგენილი.

სემიოტიკის კვლევითი ცენტრი აგრეთვე ამზადებს და გამოსცემს სერიას – სემიოტიკური თარგმანები. სერიის მიზანია ამ დარგში საინტერესო და პოპულარული ნაშრომების თარგმნა-გამოცემა სტუდენტებისთვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა უკვე გამოსცა ამ სერიის პირველი ნაშრომები: როლან ბარტის „წერის ნულოვანი დონე“, იური ლოტმანის „მოაზროვნე სამყარო შიგნით“, ხოსე ორტეგა-ი-გასეტის „ადამიანი და ხალხი“.

– ილიაუნიში თქვენ სტუდენტების საყვარელი ლექტორი ხართ, როგორ ახერხებთ ასეთ ურთიერთობებს და როგორ დაახასიათებთ სტუდენტებს, თაობას, რომელთანაც ყოველდღიური ურთიერთობა გაკავშირებთ?

– სიყვარული სადღაც ცალკე არ არსებობს... ის ყველაფრის ფონია... ცოდნის გადაცემისას სიყვარული ცოდნას არ გამოეყოფა და არ ორთქლდება... ასე რომ, ამას ყველა გრძნობს: როცა გიყვარს და ისე ელაპარაკები... სიყვარული სულის მდგომარეობაა და მას მიზეზი ან თვისება არ სჭირდება, რომ გამოვლინდეს... ჩემი და სტუდენტების სიყვარული ორმხრივია...

ვფიქრობ, რომ საუკეთესო თაობა მოდის... ადვილად შეუძლიათ სტერეოტიპებისგან გათავისუფლება, შემოქმედებითები არიან და მე მიადვილდება მათთან დიალოგი...

– საბაკალავრო კურსი პოეზიაში – გვიამბეთ ამის შესახებაც.

– საბაკალავრო კურსი „რა არის პოეზია, პოეტები და მუზები“ – არჩევითი კურსია ბაკალავრებისთვის. კურსი მალევე გახდა ძალიან პოპულარული თავისი ფორმატის გამოც. ავტორებთან ცოცხალი შეხვედრები და დიალოგი – კურსის ნაწილია. ამ გზით სტუდენტები უკეთ ეცნობიან თანამედროვე პოეზიას. კურსის მიზანია, სტუდენტებმა პოეზიის „კითხვა“ და გაგება ისწავლონ. ამ კურსს შემოქმედი სტუდენტები ირჩევენ, ამიტომ ყოველთვის საინტერესოა ასეთ ჯგუფებთან მუშაობა.

– თქვენი ინიციატივით, ილიაუნიში დაარსდა პოეზიის კლუბი. რა ხდება თქვენი შეხედვით, თანამდეროვე პოეზიაში, რა სიახლე მოაქვს ამ თაობას პოეზიაში?

– პოეზიის კურსის ფარგლებში დაარსდა *პოეზიის კლუბიც*. კლუბს არ ჰყავს მუდმივი წევრები, კურსის ცვლასთან ერთად ისინიც იცვლებიან, მაგრამ უცვლელია იდეა – პოეზიის სიყვარული და პოეზიით სამყაროს შემეცნება. ბევრი ორიგინალური და კრეატიული აქცია ჩატარდა კლუბის ინიციატივით.

თანამედროვე პოეზია პოსტმოდერნისტული ეპოქის პროდუქტია და ის არის ისეთივე მოზაიკური, როგორც თავად პოსტმოდერნი... ყველა ტენდენცია თითქოს ერთად იყრის თავს, ვგულისხმობ თანამედროვეობას... გამოვლენილ ინდივიდუალიზმში ბევრი საინტერესო ფორმა და ფორმატია, რომელიც პოეტურ აზრს კიდევ უფრო მრავალფეროვნად წარმოადგენს...

– საინტერესოა თქვენი აზრი დღევანდელი განათლების სისტემის შესახებ – ალბათ, ნაფიქრი გაქვთ. პირველ რიგში, რა არის ის ხარვეზი, რაც ჩვენს განათლების სისტემას აქვს ზოგად ან უმაღლეს საფეხურებზე?

– არ ვიცი, რამდენად არის ხარვეზი, მაგრამ თანამედროვე განათლების სისტემა არ მომწონს ერთი ტენდენციის გამო, რომელიც უნივერსალურია, – ეს არის ერთგვარი „ძალადობის“ ელემენტები, რაც განათლების პროცესს რუტინად აქცევს, ამის გამო ცოდნის მიღება არ არის დღესასწაული, ისეთი „იძულებაა“, რომელიც „კენწეროში უნდა გატკბილდეს“. ეს დამოკიდებულება განათლებას უკარგავს პროცესით ტკბობის სიამოვნებას... ჩემთვის ცხოვრება აწმყოა, ცოდნა – დღესასწაულია... თანამედროვე განათლება ძნელად ჯდება ამ მოდელში...

გახსოვთ ის ფილმი „Dead Poets Society“ („მკვდარი პოეტების საზოგადოება“) და რობინ უილიამსის გმირი მისტერ კიტინგი, ლიტერატურის მასწავლებელი, კონსერვატულ სასწავლებელში... კიტინგი ბავშვებს დაფიქრებისკენ, საკუთარი სტილის აღმოჩენისკენ უბიძგებს ლიტერატურის გაკვეთილებზე, პოეზიის მშრალი ანალიზის ნაცვლად ასწავლის, როგორ შეიგრძნონ პოეზია. მოულოდნელად მაგიდაზე ამხტარი მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

– *აბა, ვინ მეტყვის, მაგიდაზე რატომ ვდგავარ?*

– *უფრო მაღალი რომ გამოჩნდეთ, – პასუხობს ერთი...*

– *მაგიდაზე იმიტომ ვდგავარ, რომ საკუთარ თავს შევახსენო, მოვლენებს ყოველთვის განსხვავებულად უნდა შევხედოთ... იცით? სამყარო აქედან ძალიან სხვანაირად ჩანს...*

ადმინისტრაციის წარმომადგენელს, რომელმაც აითვალწუნა მისტერ კიტინგი ამგვარი მეთოდების გამო, ის პასუხობს: *„ყოველთვის ვფიქრობდი, განათლების იდეა საკუთარ თავზე დაფიქრება იყო...“*

– როგორ უნდა გახდეს განათლების სისტემა ისეთი, როგორზეც თქვენ გვიყვებით?

– კლიმატის შეცვლით და კონტროლით, – როგორც ამას ამბობს თანამედროვე განათლების მკვლევარი კენ რობინსონი.

ერთ-ერთი ლექციის დროს (როგორ დავაღწიოთ თავი განათლების სიკვდილის ხეობას) ასეთი არაჩვეულებრივ ამბავს ჰყვება და საინტერესო მეტაფორას ქმნის:

ჩემი საცხოვრებლიდან არც ისე შორს, არის ადგილი, სახელად „სიკვდილის ხეობა“, ეს ყველაზე ცხელი და მშრალი ადგილია ამერიკაში. იქ არაფერი იზრდება, არაფერი იზრდება, რადგან არასდროს წვიმს. 2004 წლის ზამთარში მოულოდნელად იწვიმა ხეობაში, მსხვილი წვეთები ცვიოდა მცირე ხნით. 2005 წლის გაზაფხულზე სასწაული მოხდა: სიკვდილის ხეობის მთელი მიდამო დაიფარა ყვავილებით. რას ამტკიცებს ეს? ეს ამტკიცებს, რომ „სიკვდილის ხეობა“ არ არის მკვდარი, უბრალოდ, თვლემს. ზუსტად ზედაპირის ქვეშ არის შესაძლებლობების მარცვლები, რომლებიც ელოდებიან შესაბამის პირობებს, რომ გამოჩნდნენ და ორგანული სისტემით თუ პირობები ზუსტია, სიცოცხლე გარდაუვალია, ის ყოველთვის მიმდინარეობს... იღებ ერთ ადგილს: სკოლას, უბანს... ცვლი პირობებს, აძლევ განსხვავებულ საშუალებებს და განსხვავებულ მოლოდინს, სთავაზობ მოქმედების თავისუფლებას, ეხმარები, იყვნენ ინოვაციურები იმაში, რასაც აკეთებენ და სკოლები, რომლებსაც აკლდა ეს, ივსებიან სიცოცხლის წყურვილით.

კენ რობინსონის მიხედვით, ჭეშმარიტი როლი განათლების ლიდერობაში არ არის და არც უნდა იყოს ბრძანება და კონტროლი. ლიდერობის მთავარი როლი არის კლიმატის კონტროლი, შესაძლებლობების კლიმატის შექმნა.

– სურვილი მაქვს, ჩვენი ინტერვიუ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლოს. დასაწყისში აღვნიშნე კიდევაც, რომ იმდენად მრავალმხრივად საინტერესო ადამიანი ხართ, ერთ ინტერვიუში, ალბათ, შეუძლებელია ყველაფერზე ვისაუბროთ. თუმცა პოეზიას გვერდს ვერ ავუვლით. ოთხი პოეტური კრებული – „ლექსები“, „გამოაღეთ სარკმელი“, „დუმილის ა(მ)ბები და „უცხო ქალაქი“ – ეს თქვენი

შემოქმედებითი ნამოღვაწარია. „სისადავე, გულწრფელობა და ლირიზმი“ – ეს თქვენი პოეზიის მახასიათებლებია. რა არის ეს სამყარო თქვენთვის?

– პოეზიის სამყარო ერთ-ერთი განზომილებაა, რომელშიც პერიოდულად ვიხიზნები და იმ სამყაროდან აღვიქვამ ყველაფერს პოეზიის რაკურსით... პოეზია ჩემთვის სულის ამინდია, განსაკუთრებული მეტეოროლოგიური პირობებია...

– როცა თქვენთან ინტერვიუსთვის ვემზადებოდი, ფეისბუქის გვერდზე თქვენი ახალი ლექსი დაიდო – „ამხილეთ ერთმანეთი“, რომელიც მთავრდება სიტყვებით: „ამხილეთ ერთმანეთი სიყვარულში“. ეს სიტყვები ერთგვარ მოწოდებად აღვიქვი საზოგადოებისადმი, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, აგრესიის და სიძულვილის ენით უფრო საუბრობს. არის თუ არა ჩვენი მთავარი პრობლემა დღეს სიყვარულის დეფიციტი?

– დიახ, სწორად მიხვდით... ზოგჯერ ფეისბუკის მთავარ გვერდს რომ თვალს გადავავლებ ხოლმე, ყვირილი მინდება და მერე ამ ემოციას პერიოდულად სტატუსად გარდავქმნი... ეგ ლექსი სტატუსად იყო გათვალისწინებული და მერე პოეზიის ფორმა მიიღო...

ადამიანებს მხოლოდ სიტყვებით და ცნებებით უყვართ ერთმანეთი და მერე ამ სიყვარულის სახელით ისეთებს სჩადიან, სიყვარულისგან რომ ძალიან შორსაა... სიყვარულის დეფიციტი იმიტომ არის, რომ ადამიანის ეგო უსაშველოდ გაიზარდა და სულის სიხშირეები ჩაახშო... მხოლოდ სულს უყვარს უპირობოდ... ეგოს სიყვარული პირობითია...

– თუ არ გადაგღალეთ, მინდა კიდევ ერთ თემასაც შევეხოთ. თქვენი დამოკიდებულება ფოტოგრაფიისადმი, რომელიც, ვფიქრობ, გატაცებას უკვე გასცდა. როდის დაინტერესდით ფოტოგრაფიით? როგორც ვიცი, უფრო ხშირად იღებთ პეიზაჟებს (ცნობილი პროექტი „ანარეკლი“), გქონდათ გამოფენაც. თუ გაქვთ საოცნებო ადგილი, რომელსაც გადაიღებდით ან საოცნებო ფოტოპროექტი, რომლის განხორციელებასაც გეგმავთ. რა არის თქვენთვის ფოტოგრაფია – აზრის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება?

– ფოტოგრაფიის უნიკალური თვისება, სიტყვების გარეშე გამოხატოს აზრი და ემოცია – ჩემთვის ძალიან მომხიბვლელია... გამოხატვის ვიზუალური ფორმატია... ჩვენი საუკუნე განსაკუთრებულად არის ორიენტირებული ვიზუალურ ფორმებზე... რადგან დრო ძალიან აჩქარდა, აჩქარებულია ცხოვრების რიტმი, ადამიანი გადარბენაზეა... ფოტო იმდენად ბევრი ინფორმაციის შემცველია, რომ მან ჩაანაცვლა ვერბალური ტექსტი... ოცნებას ქმედება მირჩევნია, ამიტომ თუ რაიმე ჩავიფიქრე, მალევე ვახორციელებ... გრძელვადიანი ნაფტალინიანი ოცნებები არ მაქვს... ხელოვნებაშიც სპონტანურობა მიზიდავს... დიდი ხნის ნაფიქრი უკვე მეცნიერებაა და არა ფოტოხელოვნება... თუმცა, შემოქმედებითი პროექტებიც იგეგმება წინასწარ... მე მაინც მოულოდნელი აღმოჩენებისკენ ვარ... ანარეკლების სერიაც სპონტანურად შეიქმნა.

– ბოლოს, მინდა ჩვენი საუბარი დავასრულო ამონარიდით თქვენი „უცხო ქალაქიდან“:

უცხოა ქალაქი, რომელშიც დაგეძებ,
როგორც დაეძებენ ქარები ფოთლებს...
უცხოა ქალაქი, რომელშიც ვცხოვრობთ,
მისი საზღვრები კილომეტრებით
არ იზომება.

დაგეძებ ქალაქში, რომელშიც დავდივართ,
რომელიც სავსეა მზითა და ავ-კარგით...
რა ძნელად შეგხვდი და დაგკარგე ადვილად
ქალაქში,
რომელმაც საზღვრები დაკარგა...

ქალაქში ქალაქი... შენი და ჩემია!
და ისევ გიმღერებ, დღეს თუკი გადავრჩი,
შენ, ჩემო, ქალაქში დაკარგვა გჩვევია...
მე კი ვიკარგები შენში... ვით ქალაქში...

P.S. ჩვენი გაზეთის მკითხველი ძალიან სპეციფიკურია, ძირითადად, პედაგოგები. რას ეტყვით მათ, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს კარგი პედაგოგი?

– არ მაქვს მზა რეცეპტი, როგორი უნდა იყოს კარგი პედაგოგი, მაგრამ ვიცი, რა უნდა შესძლოს კარგმა მასწავლებელმა – მოსწავლეებს ასწავლოს ფიქრი და გაუღვიძოს შემოქმედებითი უნარები...

ესაუბრა
ლალი ჯელაძე

ვიქტორინა

„წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“

მოგესალმებით, ბოლო შემოთავაზებული მოთხრობა იყო **თამრი ფხაკაძის „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“**. დარწმუნებული ვართ, მოგეწონათ და ბევრ რამეზე დაგაფიქრათ.

გთავაზობთ შეკითხვებს:

– სად იდგა მთავარი გმირის სახლი?
– რა პროფესიის იყო მთავარი გმირი რობინზონი?
– რა უთხრა ძმამ?
– სად მიდიოდა ზალიკო საოპერაციოდ?
– ძმის გაცილების შემდეგ სად გასწია რობინზონმა?
– რა უპასუხა ოლეგამ, როცა რობინზონმა ჰკითხა, რა გინდა ჩემ ეზო კარშიო?
– წერილში ძმა რას წერს, რატომ მოგატყუე ავადმყოფობაო?
– საით წავიდა რობინზონი მაისის თვეში?
– რას გრძნობდა ხალხთან შეხვედრისას მთავარი გმირი?
– რა დაემართა მაყვლიანში მარტო დარჩენილ რობინზონს?
– რა სთხოვა ოლეგას აღელვებულმა რობინზონმა?
– ოლეგასა და მისი ცოლის პასუხის შემდეგ რა გადაწყვიტა მთავარმა გმირმა?
– ძმის მოტყუებას ნანობდა თუ არა?
– რა უთხრა დაჭრილმა ოლეგამ რობინზონს, როცა ჯარისკაცებს ბრეზენტით მიყავდათ?
– რა აჩუქა მეთაურმა რობინზონს?
– ვინ მიადგა ერთ საღამოს ბოსტანში რობინზონს?
– ვინ დაინახა, მის ყოფილ და უკვე ოლეგას ეზოში, დურბინდით რობინზონმა?
– როგორი ბიჭები დაინახა უკვე ოლეგას ეზოში შეპარვით შესულმა რობინზონმა?
– რაში გამოიყენა რობინზონმა ტანკსაწინააღმდეგო?
– რა ფიქრები ჰქონდა ბოლოს მთავარ გმირს?

მაშ ასე, თქვენ მიერ უკვე წაკითხული წიგნიდან შეგიძლიათ გასცეთ პასუხი შეკითხვებს და თავადაც გამოგვიგზავნოთ, **რა? სად? როდის?** ფორმატში, შეკითხვები მისამართზე:

viqtorina.sssef@gmail.com

პასუხები გამოქვეყნდება 2014 წლის 4 დეკემბერს.

შეგახსენებთ, რომ ვიქტორინას **ერთადერთი პირობა** აქვს **– კონკურსანტი სკოლის მოსწავლე უნდა იყოს.**

„რა? სად?როდის?“ ფორმატთან დაკავშირებით თუ გაგიჩნდებათ შეკითხვა, ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სატელევიზიო გადაცემის ვებგვერდზე: http://www.gametv.ge/ „გამოგვიგზავნე კითხვა“; „10 რჩევა ავტორებისათვის“, რომელიც სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოიყენოთ.

გაზეთი „ახალი განათლება“ და „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია“ წარმატებას გისურვებთ

ჩანაწერები

ლიზი კახიანი
თბილისის 51-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე

* * *

რა არის თავისუფლება? ამ კითხვაზე ერთი კონკრეტული პასუხი ვფიქრობ რომ არ არის. ყველა სხვადასხვაგვარად აღიქვამს ამ სიტყვის მნიშვნელობას. თავისუფლება, ვფიქრობ ნიჭია, რომელსაც ადამიანი ან ფლობს ან არა. თავისუფლება ცხოვრებისეული მიზანია, რომლისკენაც ადამიანი ილტვის. ეს ხომ იგივე ადამიანის სიყვარულია, იგივე ბედნიერებაა. არ ვიცი კიდევ რა სიტყვებით აღვწერო ეს გრძნობა. ზუსტად ესაა ჩემი ცხოვრების მიზანიც – ვიყო ბედნიერი, რადგან ბედნიერებაშია თავისუფლება. ბედნიერი კი ვერ იქნები, თუ არ ხარ თავისუფალი.

მხოლოდ განათლებული, ჭკვიანი ადამიანია თავისუფალი.

ადამიანი თავისუფალია. თავისი თავის უფალი! ბევრჯერ მიფიქრია, თავისი თავის უფალი ეწინააღმდეგება თუ არა რელიგიას, ქრისტიანობას, რადგან ადამიანის უფალი საკუთარი თავი კი არა, უფალია, რომელმაც ამ ქვეყნად მოგვავლინა და შექმნა ყველაფერი, რაც ჩვენ ირგვლივაა. რაც გვჭირდება დანარჩენი, შენი ასარჩევია, თვითონ აყენებ შენს თავს ცხოვრების დიდ გზაზე, რომელიც უნდა გაიარო. ღმერთი ყოველთვის გაძლევს არჩევანის უფლებას, შენ აკეთებ ამ არჩევანს და იშვიათად ხვდები, რომ არასწორი არჩევანი გააკეთე.

ადამიანი საკუთარ თავში ღმერთს, ანუ რწმენას ეძებს და როდესაც იპოვის, ხდება კიდევაც თავისუფალი, თავისი თავის უფალი, რომელსაც გულიც და გონებაც, სულიც და ხორციც ემორჩილება, თვითონვე წონის თავის ფიქრებს და აზრებს, სხვის ნათქვამს არ იმეორებს. ამიტომაა უდიდესი ნიჭი თავისუფლება, რომელსაც შენარჩუნება და დაფასება სჭირდება. თუმცა დაფასება საკმაოდ რთულია, რადგან როდესაც იბადები ისეთ ქვეყანაში, სადაც არ არის მონობა და დაბადებიდან თავისუფალი ხარ, რთულია წარმოიდგინო, რამდენად ძვირფასია ის. ამიტომ სანამ არ დაკარგავ, ვერ დააფასებ ისე, როგორც საჭიროა.

თავისუფლება არაა თავაშვებული ცხოვრება, პირიქით. ზოგი ცდილობს, თავისუფალი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვოს, თუმცა სინამდვილეში ატყუებს სხვასაც და თავსაც იტყუებს. შეიძლება მონობაშიც არ იყო მონა და მონა იყო თავისუფლებაში. შეიძლება ბორკილიც კი გედოს, მაგრამ სულიერად თავისუფალი იყო, როდესაც ტახტზე მჯდომი საკუთარ ვნებებსაა დამონებული. თავისუფლების მოპოვებაა რთული, თორემ მონად დარჩენა ადვილია. ამიტომ ვამბობ, რომ არჩევნის გაკეთების უფლება ყოველთვის გაქვს. ის, რაც ახლა ხარ, შენივე ცნობიერი და არაცნობიერი გადაწყვეტილებების შედეგია. ამიტომაც თავად აგებ პასუხს შედეგებზე. თავისუფლების შედეგი მარადიული ნეტარებაა, მონობისა კი – მარადიული სიკვდილი. იქ, სადაც თავისუფლება არაა, არანაირ პასუხისმგებლობაზე და ბედნიერებაზე არაა ლაპარაკი.

* * *

რა არის ბედნიერება? მე პირადად მაშინ უფრო ვარ ბედნიერი, როცა სხვას სიკეთეს ვუკეთებ, მაგრამ ადამიანი ისეთია სიკეთესაც თავისთვის აკეთებს. როდესაც რაიმე სიკეთეს ჩადიხარ, იმ მომენტში თავად ხარ ბედნიერი. ამიტომ გამოდის, რომ ამასაც, ასე თუ ისე, შენთვის აკეთებ.

თუ გინდა რომ ბედნიერი იყო, თქვი რომ ბედნიერი ხარ! ყველაფერი არაა ისეთი რთული, როგორიც ხანდახან გვგონია. დაუფიქრდი შენს ცხოვრებას და მიხვდები, რომ, პირველ რიგში, მადლობელი უნდა იყო იმისთვის, რომ ხარ და არსებობ. შენ თვითონ ქმნი საკუთარ სამყაროს. უბრალოდ ადექი და დაუსვი შენს თავს ყოველდღე 5 კითხვა: ხარ თუ არა მადლიერი დღეს? რა უნდა გააკეთო, რომ ეს დღე მაქსიმალურად გამოიყენო? შეესაბამება თუ არა დღის გეგმები შენს მიზნებს? რა შეგიძლია არ გააკეთო ისეთი, რაც ხელს გიშლის ბედნიერებასა და წარმატებაში? როგორ შეგიძლია შენ დაეხმარო დღეს სხვას? შეიძლება სისულელედ მოგეჩვენოთ, მაგრამ უბრალოდ სცადეთ, შედეგს თქვენ თვითონვე ნახავთ. უბრალოდ დაიმახსოვრეთ, რომ არ აქვს მნიშვნელობა ცოტა გექნება თუ მეტი, მთავარია როგორ მიუდგები ამ ცოტას და მერე იქნება ბევრიც.

იყავი თავისუფალი – გააკეთე ყველაფერი ისე, თითქოს არავინ გიყურებს, არ გეშინოდეს რისკის. როდესაც არ იცი რა ქნა, გადადგი ნაბიჯი და გზა აუცილებლად გამოჩნდება. არ გადადო არაფერი ხვალისთვის, რისი გაკეთებაც დღეს შეიძლება. გააკეთე ყველაფერი რასაც, ერთ დღეში მოასწრებ, რადგან შენ არ იცი, რა მოხდება ხვალ. ეცადე, ყველაფრისგან სიამოვნება მიიღო. ტკივილიც კი სიამოვნებად უნდა გაადაქციო. არ ვიცი, რამდენად დამეთანხმებით, მაგრამ ეს ჩემი აზრია. ყოველთვის გახსოვდეს, რომ მეორე ცხოვრების შანსი აღარ გექნება. იცხოვრე დღევანდელი დღით, რადგან გუშინ უკვე იყო და ხვალ შეიძლება აღარ იყოს. არ ვიცი, რამდენად მისაღებია ეს სხვისთვის, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა.

* * *

ცხოვრება არ არის ერთფეროვანი, რაკი ცხოვრობ, ეს უკვე მრავალფეროვნებაა. ყოველი დღე ერთმანეთისგან განსხვავებულია. მთავარია შენი ხედვა, როგორ შეხედავ ყველაფერს, თუ თვლი რომ ცხოვრება მოსაწყენია, რომ ცხოვრებაში არ გაგიმართლა და ელოდები როდის მოკვდები, ეგრეც იქნება, სანამ ასე ფიქრობ, ვერ შეამჩნევ რამდენად მრავალფეროვანი და ლამაზია ცხოვრება.

შენ იმდენად მიეჩვიე სამყაროს, ადგილს, სადაც ცხოვრობ, რომ მის მშვენიერებას ვეღარ ხედავ, ყველაფერი რაც შენ ირგვლივაა, ერთფეროვანი გგონია. სინამდვილეში, რომ დაუკვირდე, ცხოვრების ყველა დეტალი მშვენიერია. ავიღოთ მზის ამოსვლა, ხომ არაფერი და ჩვეულებრივი რამაა, მაგრამ სინამდვილეში, როცა უყურებ, როგორ ამოდის მზე, ამაზე მშვენიერი არაფერია – მზე ყოველდღე სხვანაირად ამოდის! ყოველ წამს, წუთს რაღაც ხდება ჩვენ ირგვლივ და ვეღარ ვამჩნევთ ამ ყველაფერს. მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, ზუსტად ახლა, ვიღაც გარდაიცვალა, ვიღაც დაიბადა, ვიღაცას უბედურება შეემთხვა, ვიღაცას გაუმართლა და ყველაზე ბედნიერია.

ჩვენ ზედაპირულად ვუყურებთ საგნებს, მოვლენებს ერთმანეთისგან გათიშულად აღვიქვამთ. სინამდვილეში ყოველი მოვლენა თუ საგანი ერთმანეთს უკავშირდება – ცაში ვარსკვლავიდან დაწყებული, სილის იმ უმცირეს ატომამდე, რასაც ადამიანი ფეხით თელავს. როდესაც გეჩვენება, რომ ყველაფერი დაინგრა, უნდა იფიქრო იმაზე, თუ რისი აშენება შეიძლება დანგრეულ ადგილას და არა იმაზე რომ ყველაფერი მორჩა. თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ ვერასოდეს ვერ მივიღებთ იმას, რაც გვინდა, სანამ არ დავაფასებთ იმას, რაც გვაქვს.

* * *

ვერაფერს ვერ დააფასებ ისე, როგორც საჭიროა, სანამ არ დაკარგავ. ყველაფრის ფასს მაშინ იგებ, როცა კარგავ. ხშირ შემთხვევაში გვიანია ხოლმე. ამიტომ ვფიქრობ, რომ ცხოვრება არის საშუალება გაიგო ყველაფრის გემო, მაგალითად, რა გრძნობაა, როდესაც იმედი გეწურება და სწორედ მაშინ ხდება სასწაული. უნდა გაიგო, რას ნიშნავს შრომით მიღწეული მიზანი! ერთხელ ცხოვრობ! გაქვს შანსი ყველაფრისა. შენ შეგიძლია სცადო ყველაფერი, გააკეთო ის, რაც გინდა! ეს სამყარო თითოეული ჩვენგანისთვისაა შექმნილი. *„როგორც ისწავლი სამყაროს ხედვას, შენი ცხოვრებაც ისე იქნება!“* – ილია მეორეს სიტყვებია. ბევრი ამ სიტყვების არსს ვერ ხვდება. თუ შენ გასწავლიან, რომ ცხოვრება რთულია, რომ შენ მწვერვალს ვერ მიაღწევ, არ დაიჯერო, ხომ შეიძლება გქონდეს საკუთარი აზრი?! გჯეროდეს შენი თავის, შენი სიტყვის და იმის, რომ შენ მიაღწევ ყველაფერს, რასაც დაისახავ. მთავარია, გქონდეს მიზნები და იპოვო ძალა ამ მიზნების მისაღწევად. როცა შენ წუწუნებ იმის გამო, რომ არ გაქვს ფული რამე ძვირფასის საყიდლად, გახსოვდეს, რომ სხვა ფულს იმისთვის ნატრობს, რომ შვილს პური უყიდოს. ყველაფერი შედარებითია, როცა გგონია, რომ უბედური ხარ, შეადარე შენი თავი სხვას და მიხვდები, რომ საკმარისზე ბევრი გქონია. არასოდეს არ გექნება არაფერი, თუ არ დააფასებ იმას, რაც გაქვს. როგორიც არ უნდა იყოს ცხოვრება, შენ ყოველთვის გაქვს შანსი, უკეთესობისკენ შეცვალო.

* * *

ზომიერება – აი, რა გვაკლია. სიტყვა, რომელიც საჭიროა ყველგან. ეს არის სიტყვა, რომელიც ყველაფერში გამოგადგება. ცხოვრებაში ზომიერების დაცვა იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც იცნობს ადამიანი საკუთარ თავს, აცნობიერებს ძლიერ და სუსტ მხარეებს. ზომიერების გარეშე, რაც სიკეთედ გეჩვენება, შესაძლოა ცოდვად იქცეს.

დაო-დე-ძი- ში ასეთი რამ წერია ზომიერებაზე:

„ცერებზე აწეულს:
არ ძალუძს დიდხანს დგომა.
სწრაფად მავალს:
არ ძალუძს დიდხანს სვლა.
ვინც ბევრს ღაღადებს: მარცხდება.
ზომიერებაა ყოველივეს ძირი და ფუძე.“

გამოსაშვები გამოცდები

საატესტატო გამოცდის დავალებათა ნიმუშები

ქიმია

1. მოცემული ნივთიერებებიდან:
I. წყალი II. ნახშირორჟანგი III. გლუკოზა IV. ჟანგბადი
რომელია **მარტივი** ნივთიერება?

ა) მხოლოდ I ბ) მხოლოდ IV გ) I, II და IV დ) ოთხივე

2. ნიკამ **შაქრისა და ცარცის ნარევი** გახსნა წყალში. სურათებზე ნაჩვენები მეთოდებიდან რომელი უნდა გამოიყენოს ნიკამ, რომ შაქარი მიიღოს **სუფთა** სახით?

I

II

ა) ჯერ I, შემდეგ II
ბ) ჯერ II, შემდეგ I
გ) საკმარისია მხოლოდ I-ის გამოყენება
დ) საკმარისია მხოლოდ II-ის გამოყენება

3. ჩამოთვლილთაგან რომელია მჟავა მარილი?
ა) H_3PO_4 ბ) K_3PO_4 გ) $Ca_3(PO_4)_2$ დ) $CaHPO_4$

4. რომელი ელემენტის ატომის ელექტრონული აღნაგობაა მოცემული სურათზე?



ა) ფტორის
ბ) ქლორის
გ) ბრომის
დ) იოდის

5. მოცემულია A და B ნივთიერებების წყალში ხსნადობის ტემპერატურაზე დამოკიდებულების გრაფიკები.
აიღეს ორივე ნივთიერების **ნაჯერი ხსნარები** 90°C-ზე და გააცივეს 50°C-მდე.
ქვემოთ მოცემული მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?



ა) A-ს ხსნარიდან უფრო მეტი მასის ნივთიერება გამოკრისტალდება, ვიდრე B-ს ხსნარიდან
ბ) B-ს ხსნარიდან უფრო მეტი მასის ნივთიერება გამოკრისტალდება, ვიდრე A-ს ხსნარიდან
გ) ორივე ხსნარიდან ერთნაირი მასის ნივთიერებები გამოკრისტალდება
დ) ხსნარებიდან ნივთიერებები არ გამოკრისტალდება

6. ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის დროს ქლორის ჟანგვის ხარისხი შემდეგნაირად იცვლება:

ამ დროს ქლორის ატომი

ა) იერთებს 4 ელექტრონს ბ) იერთებს 6 ელექტრონს
გ) გასცემს 4 ელექტრონს დ) გასცემს 6 ელექტრონს

7. რამდენი მოლი **იონი** წარმოიქმნება **1 მოლი $Ca(NO_3)_2$**-ის ელექტროლიტური დისოციაციის შედეგად?

ა) 2 მოლი ბ) 3 მოლი გ) 6 მოლი დ) 7 მოლი

8. რა მასა აქვს 2.24 ლ **H_2S**-ს (ნ.პ.)?

ა) 3.4გ ბ) 340გ გ) 3.4კგ დ) 340კგ

9. ჩამოთვლილთაგან რომელი იონით შეიძლება **Cl^- იონების** აღმოჩენა? (ისარგებლეთ ხსნადობის ცხრილით)

ა) Ba^{2+} ბ) Cu^{2+} გ) Ag^+ დ) Na^+

10. ჩამოთვლილთაგან რომელია **SO_2-ის შესაბამისი მჟავას ფორმულა**?

ა) H_2S ბ) H_2SO_2 გ) H_2SO_3 დ) H_2SO_4

11. ჩამქრალი კირის ქიმიური ფორმულაა:
ა) $CaCO_3$ ბ) $CaSO_4$ გ) $Ca(OH)_2$ დ) CaO

12. მოცემულია გაუთანაბრებელი რეაქცია:



ჩამოთვლილთაგან რომელი ფორმულაა გამოტოვებული?
ა) NaP_2O_5 ბ) $Na_3P_2O_5$ გ) $NaPO_4$ დ) Na_3PO_4

13. მოცემული რეაქციებიდან რომლის შედეგად **<u>არ</u> წარმოიქმნება აირი** ?

ა) $Mg + HCl \rightarrow$ ბ) $MgO + HCl \rightarrow$
გ) $MgS + HCl \rightarrow$ დ) $MgCO_3 + HCl \rightarrow$

14. დიაგრამაზე მოცემულია ზოგიერთი ალკანის ლღობისა და დუღილის ტემპერატურები.
დიაგრამის მიხედვით რომელი ალკანია **<u>თხევადი</u> წყლის გაყინვის ტემპერატურაზე**?



ა) მხოლოდ I ბ) II, III და IV გ) ოთხივე დ) არც ერთი

15. მოცემულია ოთხატომიანი ნახშირბადული ჯაჭვი:



სულ რამდენი წყალბადატომია ასეთი აღნაგობის **უჯერ** ნახშირწყალბადში?
ა) 4 ბ) 6 გ) 8 დ) 10

16. მოცემულია ეთილენის სტრუქტურული ფორმულა:
რამდენი σ (სიგმა)-ბმაა ეთილენში?



ა) 1
ბ) 2
გ) 5
დ) 6

17. მოცემულია სამი ნახშირწყალბადი:
I. $H_3C - CH_3$ II. $H_2C = CH_2$ III. $HC \equiv CH$
რომელ მათგანს ახასიათებს **ჰიდრირება** (წყალბადის მიერთება)?
ა) I-სა და II-ს ბ) I-სა და III-ს
გ) II-სა და III-ს დ) სამივეს

18. ჩამოთვლილთაგან რომელი მჟავას მარილია საპონი?

ა) არაორგანული უჟანგბადო მჟავას
ბ) არაორგანული ჟანგბადიანი მჟავას
გ) ორგანული მოკლეჯაჭვიანი მჟავას
დ) ორგანული გრძელჯაჭვიანი მჟავას

19. რომელი ნაერთი მიიღება მოცემული რეაქციის შედეგად?



ა) 

ბ) 

გ) 

დ) 

20. რამდენი გრამი ეთილის სპირტია 200 გ 12%-იან ხსნარში?
ა) 2.76გ ბ) 4.6გ გ) 6გ დ) 24გ

სწორი პასუხები:

1-ბ	11-გ
2-ბ	12-დ
3-დ	13-ბ
4-გ	14-ბ
5-ა	15-გ
6-დ	16-გ
7-ბ	17-გ
8-ა	18-დ
9-გ	19-ა
10-გ	20-დ

ინფორმაცია

თამარ სანიკიძემ ოლიმპიელები დაჯილდოვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებში გამარჯვებულ 8 მონაწილეს ფულადი ჯილდოები და სიგელები გადასცა.

„განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ყოველწლიურად, აფინანსებს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მონაწილეობას მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ და პრესტიჟულ ოლიმპიადებში: მათემატიკაში (IMO), ფიზიკაში (IPHO), ინფორმატიკაში (IOI), ბიოლოგიასა (IBO) და ქიმიაში (ICHO).

ზემოაღნიშნულ ოლიმპიადებში მსოფლიოს 100-მდე ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ, მათ შორის, არიან ქართველი მოსწავლეებიც. სამინისტროს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი უზრუნველყოფს თითოეულ საგანში ნაკრები გუნდების დაკომპლექტებას, წვრთნას და ოლიმპიადებში მონაწილეობას. ნაკრები გუნდები ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეებისაგან კომპლექტდება, მოსწავლეები შერჩევამდე სპეციალურ ტურებს გადიან.

ბოლო წლების მანძილზე საერთაშორისო ოლიმპიადების მონაწილეებს მოპოვებული აქვთ 3 ოქროს, 15 ვერცხლის, 48 ბრინჯაოს მედალი და 31 საპატიო სიგელი. წელს, საერთაშორისო ოლიმპიადებში, 23 მოსწავლე მონაწილეობდა, შედეგად – 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ოთხმა მოსწავლემ საპატიო სიგელი დაიმსახურა. საერთაშორისო ოლიმპიადების გამარჯვებულები არიან:

ნიკოლოზ სვანიძე (ოქროს მედალი ინფორმატიკაში) – თბილისის 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონის „კომაროვი“ XII კლასის მოსწავლე;
ელენე მაჩაიძე (ბრინჯაოს მედალი ინფორმატიკაში) – თბილისის 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონის „კომაროვი“ XI კლასის მოსწავლე;
გიორგი სხირტლაძე (ბრინჯაოს მედალი ინფორმატიკაში) – დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის X კლასის მოსწავლე;
ზაურ მეშველიანი (ვერცხლის მედალი მათემატიკაში) – თბილისის 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონის „კომაროვი“ X კლასის მოსწავლე;
გიორგი სვანაძე (ბრინჯაოს მედალი მათემატიკაში) – თბილისის 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონის „კომაროვი“ XII კლასის მოსწავლე;
გიორგი გონაშვილი (ბრინჯაოს მედალი მათემატიკაში) – თბილისის 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონის „კომაროვი“ XII კლასის მოსწავლე;
გიორგი ცხადაძე (ვერცხლის მედალი ფიზიკაში) – თბილისის 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონის „კომაროვი“ XII კლასის მოსწავლე;
ჯონეტა გვაზავა (ბრინჯაოს მედალი ბიოლოგიაში) – აბაშის №1 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამარჯვებულ მონაწილეებს ფულადი პრიზებით აჯილდოებს:

- ოქროს მედლის მფლობელი – 3000 ლარი;
- ვერცხლის მედლის მფლობელი – 2000 ლარით;
- ბრინჯაოს მედლის მფლობელი – 1000 ლარით.

ქართველები უცხოეთში

კაცი, რომელიც 31 წელი უვლიდა „ალავერდს“

კერძო სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესის“ მოსწავლეები უკვე ოთხი წელია ვახორციელებთ პროექტს „არდავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა“, რომელიც პერიოდულად შუქდება გაზეთ „ახალ განათლებაში“. პროექტის ფარგლებში, ვეცნობით აშშ-ში მცხოვრებ მეორე თაობის ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებას.
პროექტის ხელმძღვანელი – ქიმიის პედაგოგი ა/დ ძეთევან ძიძოძე

მამია ზაქრაძე 1920 წლის 10 აპრილს, სამტრედიის რაიონის სოფელ გომში დაიბადა. მოკლედ რომ გითხრათ, ჯარში გაწვეული, ცოტა ხნის შემდეგ ომში აღმოჩნდა. თავგამოდებული ებრძოდა გერმანელ ფაშისტებს, სანამ უკრაინის ტერიტორიაზე ტყვედ ჩავარდებოდა. გერმანელები საბჭოთა ტყვეებს სასტიკად ექცეოდნენ. ომის შემდეგ ყოფილი ტყვეებისგან მუშათა ბატალიონებს ადგენდნენ და მათ ხან გზებს აწმენდინებდნენ, ხან კარტოფილს აღებინებდნენ. ბატონმა მამიამ ექვსი წელი მიუნხენში შიშის ქვეშ გაატარა, თანაც, როგორი შიშის. „ენკავედე“, როგორც ძაღლებს, ისე დასდევდა და თუ თავისიანს შეამჩნევდა, უცერემონიოდ იტაცებდა. ეგონათ ტყვეობას გადავურჩითო და უარეს დღეში ხვდებოდნენ. ცოცხლად გადარჩენილებს ოცნებად ჰქონდათ, როგორმე ევროპას გასცლოდნენ. ბატონი მამიაც, როგორც კი საშუალება მიეცა, ახლად შექმნილ ოჯახთან ერთად, ამერიკაში წავიდა.

„გერმანელები საბჭოთა ტყვეებს ისე სასტიკად გვექცეოდნენ, რომ კარგა ხანს ყველა გერმანელი მხეცი მეგონა“ – უთქვამს ბატონ მამიას. ამ სიტყვების გაგონებისას ალბათ გაგიჩნდებათ კითხვა, მაშინ რატომ აირჩია ცხოვრების მეგზურად სწორედ გერმანელი ქალი. ომის შემდეგ, ტყვეობას რომ თავი დააღწია და ჩვეულებრივ გერმანელებთან მოუწია ცხოვრება, გაოცდა, სულ სხვა ხალხი დაინახა – წესიერი, მშრომელი, პატიოსანი. მათზე წარმოდგენაც რადიკალურად შეეცვალა. ბატონი მამიას მეუღლე, ქალბატონი ჰელენ ზაიცი, მის მეზობლად ცხოვრობდა. ერთმანეთს მალევე შეეჩვივნენ, რასაც სიყვარული მოჰყვა და საბოლოოდ ისინი დაქორწინდნენ. *„გერმანელებმა ტყვედ ჩამიგდეთ, ყველაფერი დამაკარგვინეთ, ახლა კი შენ ხარ ჩემი ტყვეო!“* – ხშირად ხუმრობით ეტყოდა ცოლს.

გერმანიიდან ამერიკაში, 1950 წლის 10 ივნისს, უკვე პატარა შვილთან ერთად ჩავიდა. მისი მასპინძელი ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს მდივანი, არაჩვეულებრივი პიროვნება, ბატონი კირილე გურგენიძე იყო. მან ბატონი მამია დიდი პატივით მიიღო და სათანადოდ დააკვალიანა. მეორე დღეს, საღამოს რვა საათისთვის, ზარმა დარეკა. კარში საშუალო ტანის კაცი იდგა, რომელმაც ბატონ მამიას ქართულად უთხრა:

„მე ვარ სიკო ერისთავი. გავიგე, რომ პატიოსანი ქართველი ყოფილხარ, მე კი კარგი ქართველები მიყვარს და მათ ყველგან დავეძებო.“ ბატონ სიკოს თან ახლდა გიორგი ვაჩნაძე, მისი ძველი ნაცნობი მიუნხენიდან. ბატონმა სიკომ მამია ზაქრაძეს საკუთარ საზაფხულო ადგილას – „ალავერდში“ წასვლა შესთავაზა. მეორე დღეს „ალავერდში“ მისულ მამიას 30-მდე ადამიანი დახვდა. *„არასოდეს დამავიწყდება ის სითბო და სიყვარული, რაც ჩემ მიმართ გამოიჩინეს. ჩემი წლინახევრის ბიჭი ხომ ხელიდან ხელში გადადიოდა, ეფერებოდნენ, ათამაშებდნენ. მეც გავიხარე, სულში საოცარი სითბო ჩამეღვარა. მივხვდი, რომ სამშობლოს, მშობლებს, ჩემს ოჯახს სამუდამოდ მოშორებული, მარტო აღარ ვიყავი. „ალავერდის“‘ სახით დანატრებულ ქართულ გარემოს დავუბრუნდი...“* – იხსენებს ბატონი მამია.

„ალავერდი“ მხოლოდ ქართული არ ყოფილა. დაარსებული და ოფიციალურად გაფორმებული იყო, როგორც კავკასიური საზოგადოება, რომელშიც შედიოდნენ ქართველები, ჩერქეზები, ყაბარდოელები და რამდენიმე ოსი. რაოდენობით ქართველები სჭარბობდნენ, ყველაზე აქტიურებიც იყვნენ და საზოგადოების პრეზიდენტიც ყოველთვის ქართველი იყო. სამშობლოდან გადახვენილებს მარტო ქართველებთან კი არა, საერთოდ კავკასიელებთან შეხვედრა უზომოდ ახარებდათ. ისინიც ასევე იყვნენ მათ მიმართ. ამ საზოგადოებას, ბატონი სიკო სიდამონ-ერისთავის სახით, ისეთი პიროვნება ედგა სათავეში, რომ შეუძლებელია მის გვერდით ვინმე უხეირო ადამიანი ყოფილიყო. ბატონმა სიკომ თავის გარშემო, ქართველებთან ერთად, ჩრდილოკავკასიელებიც შემოიკრიბა და 1937 წელს „ალავერდი“ დაარსდა. ისინი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. გადაწყვიტეს ერთობლივად ეყიდათ სახლი, რომელშიც ზაფხულობით დაისვენებდნენ და ამით ერთად ყოფნის საშუალება ექნებოდათ. როგორც ამ დიდი საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, „ალავერდის“ პირველ პრეზიდენტად ბატონი სიკო სიდამონ-ერისთავი აირჩიეს. რაღაც მიზეზების გამო, ერთი წლის შემდე, იგი გადადგა. შემდეგ, თითო წელს, პრეზიდენტები ჯერ თავადი გიორგი მაჩაბელი იყო, მერე თავადი ირაკლი ორბელიანი, მაგრამ ეტყობა ვერ შეძლეს „ალავერდის“ მოვლა-პატრონობა და თავი გაანებეს. ბოლოს ისევ ბატონ სიკოს სთხოვეს, გაეგრძელებინა თავისი დაწყებული საქმე. სასწრაფოდ მოიწვიეს კრება და „ალავერდის“ პრეზიდენტად ისევ ბატონი სიკო სიდამონ-ერისთავი აირჩიეს, რომელიც გარდაცვალებამდე შესაშური მონდომებით უვლიდა და პატრონობდა „ალავერდსა“ და მის ყველა წევრს.

„ალავერდში“ მოხვედრის დღიდან ბატონი მამია სიკო ერისთავს გვერდიდან არ მოშორებია. *„არ ყოფილა შემთხვევა, ბატონ სიკოს რამე ეკეთებინა და მის გვერდით არ ვყოფილიყავი. ჯერ ერთი, მიხაროდა, რომ რაღაცით ვეხმარებოდი და, მეორეც, ბედნიერება იყო მის გვერდით ყოფნა“* – ამბობდა ხოლმე ბატონი მამია.

ყოველ წელიწადს ახალ-ახალი ქართველები ემატებოდნენ „ალავერდს“, რომელიც თანდათან იზრდებოდა და მხიარულდებოდა. ბატონი მამია ხშირად ამბობდა: *„ვერ წარმოიდგენთ, სამშობლოდან ძალით გადაკარგულ ქართველებს როგორ გვიყვარდა ერთმანეთი. ჩვენ ვიყავით ერთმანეთის ძმები, დები, ბიძაშვილ-მამიდაშვილები და ნათესავები. ერთმანეთის გარდა, აბა, ვინ გვყავდა ამ უცხო მიწაზე“.* ბატონი სიკოს ხელმძღვანელობით ეწყობოდა საინტერესო საღამოები, რომლებიც ქართული სუფრით მთავრდებოდა. მოუთმენლად ელოდნენ კვირა დღის დადგომას, რადგან ამ დღეს ყველა ერთად იკრიბებოდა და ერთმანეთს საკუთარ ჭირ-ვარამს უზიარებდა. ფაქტობრივად ერთმანეთის ცხოვრებით ცხოვრობდნენ. *„ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით, ამიტომ უმეტესად რუსულად გვიწევდა საუბარი. რელიგიური განსხვავების მიუხედავად, ძალიან კარგად ვეწყობოდით ერთმანეთს. ერთი ხმამაღალი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. ვცდილობდით, მუდამ ერთად ვყოფილიყავით. ჩვენი მეგობრობა ბოლო დრომდე გრძელდებოდა.“* – იხსენებს ბატონი მამია.

1964 წელს, ერთ-ერთი შეკრების დროს, დიდი მხიარულობისას, ბატონი სიკო უეცრად ცუდად გახდა. სამწუხაროდ, იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. „ალავერდი“ დაობლდა. ყველა ფიქრობდა, რომ ბატონ სიკოსთან ერთად „ალავერდიც“ დასამარდებოდა. დიდი ყოყმანის შემდეგ „ალავერდელებმა“ მამიას სთხოვეს მათი სახელით, სიკოს შვილისთვის, ბატონი კონსტანტინესთვის ეთხოვა „ალავერდს“ ჩასდგომოდა სათავეში, თუმცა იგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო. გარკვეული დროის შემდეგ კი თანხმობა განაცხადა მხოლოდ იმ პირობით, რომ მისი მოადგილე ბატონი მამია ზაქრაძე იქნებოდა. სასწრაფოდ მოიწვიეს კრება და „ალავერდის“ ხელმძღვანელად ბატონი კონსტანტინე, მის მოადგილედ – მამია, მდივნად – ქალბატონი ნინო ერისთავი (კონსტანტინეს და), მოლარედ ვალერიან ძამია, ხოლო გამგეობის წევრებად – გივი ფორაქიშვილი, მიხეილ რეხვიაშვილი, რაშიდ დაღაფსუ (ჩერქეზი) და პეტრე ცოლოგოვი (ოსი) აირჩიეს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მართლაც შეძლო ბატონმა მამიამ „უღლის“ დამორჩილება და გამგეობის წევრებთან ერთად კარგად წაიყვანა „ალავერდის“ საქმიანობა. ძველი წევრები ფრიად კმაყოფილები და გახარებულები იყვნენ. კვლავ გამოცოცხლა „ალავერდი“, თუმცა მათი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1964 წელს ხულიგნებმა ჯერ ერთი სახლი გადაწვეს, ხოლო 1973 წელს მთავარ სახლს წაუკიდეს ცეცხლი. ამ ძირითადი სახლის გარეშე „ალავერდის“ არსებობა შეუძლებელი იყო, მაგრამ კონსტანტინე ერისთავმა ძალიან მოინდომა, არათუ ძველი აღედგინა, არამედ სულ ახალი პროექტით, ხუთ თვეში, აშენებული სახლი ჩააბარა „ალავერდელებს“. ხარჯები, რა თქმა უნდა, კონსტანტინემ და მისმა მეუღლემ გაიღეს. კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი და მისი მეუღლე რომ არა, „ალავერდი“ 1964 წელს დაიხურებოდა.

ბატონ მამიას „ალავერდამდე“ ცხოვრების საკმაოდ მძიმე და ტკივილიანი გზა გაუვლია, დიდი ხნის განმავლობაში „სამშობლოს მოღალატის“ სტატუსიც ატარა. ალბათ, გაგიჩნდებათ კითხვა, რატომ?! ბატონი მამია იხსენებს: *„უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ „სამშობლოს მოღალატის“ სახელი ამცდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ვითვლებოდი. თურმე დედაჩემს ჩემ გამო პენსიასაც კი აძლევდნენ 10 მანეთის ოდენობით...“* ერთი შემთხვევა რომ არა, დედამისი და მისი ძმა (ოჯახიდან ისინიღა იყვნენ ცოცხლები) ვერასოდეს გაიგებდნენ ბატონი მამიას ამბავს... 1968 წელს „ალავერდში“ სოჭიდან მიშა რეხვიაშვილის და ჩამოვიდა. რა თქმა უნდა, მამიამ იგი ოჯახში მიიწვია. ეხვეწა, ბატონი მიშას და შენიანების მისამართი მომეცი. პირდებოდა – მივალ და შენს ამბავს გავაგებინებო, მაგრამ მისამართი მაინც არ მიუცია. ისევ კომუნისტების დრო იყო, ამიტომ ეშინოდა მისი ოჯახი არ აეწიოკებინათ. მიშას და მაინც ჩასულა სამტრედიაში და იმის მიუხედავად, რომ მხოლოდ ის იცოდა, ბატონი მამია სამტრედიიდან იყო, მაინც მოუძებნია და მისი ნათესავის, სამტრედიის მილიციის უფროსის დახმარებით, მიუგნია.

„ერთ მშვენიერ დღესო, – მწერდა დედა, – ჭიშკარს სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კაცი მოადგაო. მის დანახვაზე კინაღამ გული გამისკდა, ვიფიქრე ხუთი შვილიდან ერთიღა დამრჩა და ამასაც იჭერენო, მაგრამ იმ გასახარელმა კარებშივე მომაძახა – ბებო, ნუ გეშინია კარგი ამბავი მოგაქვსო. სახლში შემოვიდა, გადამეხვია და ჩუმად მითხრა – გილოცავ, შენი შვილი, შენი მამია ცოცხალია და ამერიკაში ცხოვრობსო. შვილო, სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდიო...“ – იხსენებს ბატონი მამია ზაქრაძე. ამის შემდეგ წერილებით ეხმიანებოდნენ ერთმანეთს. იგი იხსენებს: *„სათქმელადაც კი ძნელია ის განცდები და ქარიშხალი, რაც ჩემს გულში ტრიალებდა. სანამ გერმანიას დავტოვებდი, ისე მინდოდა სახლში წასვლა, გიჟივით ვიყავი, ღამეები არ მეძინა, დაჭრილი ნადირივით ვბორგავდი. რამდენჯერმე კინაღამ გადავდგი ეს ნაბიჯი, მიუხედავად იმისა, ვიცოდი სახლში მისვლას არავინ მაღირსებდა... ბოლოს ხომ მაინც ვიპოვეთ ერთმანეთი. უკვე წერილებით ვეხმიანებით ერთმანეთს, ამანათებს ვგზავნი... სამტრედიის მილიციის უფროსი კი გამოდგა კაცური კაცი, მაგრამ ხომ იცით ასეთი ამბავი დიდხანს არ დაიმალება და ჩემი გამოჩენით დედაჩემი იმით დასაჯეს, რომ ის 10 მანეთი წაართვეს, ჩემი „დაღუპვის“ გამო რომ აძლევდნენ. დედამ 100 წლამდე იცოცხლა, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ავად გამხდარა. ჩემს ძმას ექიმი მოუყვანია. იმ სულელს ასაკი რომ გაუგია, მოურიდებლად უთქვამს: აბა, ბებო, რაღა გინდა, კი მოსულა შენი წასვლის დროო. გაბრაზებულ დედაჩემს მკვახედ უპასუხია: შენზე კარგად ვიცი, რომ წასვლის დრო დამდგარია, მაგრამ ჩემი შვილის ჩამოსვლას ველოდები, არ მინდა მის უნახავად მოვკვდეო“.* სამწუხაროდ, ბატონი მამიას დედა, 1988 წელს, შვილის უნახავად გარდაიცვალა.

საქართველოში ჩასვლა მხოლოდ 1995 წელს მოახერხა. ჩვეული სტუმართმოყვარეობით დახვდნენ ახლობლები. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ძმების – ბატონი მამიასი და ბატონი ვლადიმერის შეხვედრა.

სწორედ ბატონი ვლადიმერის შვილმა, ბატონმა მამულიმ მოგვაწოდა ფოტომასალა და საინტერესო ინფორმაცია. იგი გახლავთ ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ამერიკაში დაბრუნებულმა ბატონმა მამიამ „ალავერდს“ მიაშურა, რომლის ხელძღვანელობასაც თავი მალევე დაანება. *„31 წელი განა ცოტაა? ამ ხნის განმავლობაში „ალავერდისთვის“ მოვლა-პატრონობა არ დამიკლია. „ალავერდი“ ჩემი სული და გული, ჩემი სიცოცხლე იყო, მაგრამ მოგეხსენებათ, წლებს თავისი მიაქვს. 75 წელი რომ შემისრულდა, მივხვდი, „ალავერდს“ სხვა ენერგია და შემართება სჭირდებოდა. დადგა დრო, როცა ვინმე ღირსეული უნდა შემნაცვლებოდა. როცა ჩემი გადაწყვეტილება „ალავერდის“ წევრებსაც გავუმხილე, არ მოეწონათ, მაგრამ რაღას იზამდნენ. რადგან ვთქვი, უკან აღარ დავიხევდი. ალექსანდრე ცოგოლოვის სახლში დიდი გაცილება მომიწყვეს და 31-წლიანი დამსახურებისთვის კარგადაც დამასაჩუქრეს. მაჩუქეს ბალახის საჭრელი მანქანის ბორბლებისაგან დამზადებული გვირგვინი და ნახატი „ალავერდი“...“.*

ბატონი მამიას შემდეგ, 1997 წლიდან, „ალავერდის“ ხელმძღვანელობა ისევ ძველი თაობის წარმომადგენელმა, ბატონმა ვალერიან ძამიამ ჩაიბარა და თავის არაჩვეულებრივ მეუღლესთან ერთად დიდი ამაგი დასდო, ძალიან კარგად უძღვებოდა ყველაფერს. მაგრამ მერე მასაც სიჭარმაგე მოერია და მიხვდნენ, რომ ძველ წევრებს „ალავერდის“ მოვლა აღარ შეეძლოთ. რა არ სცადეს „ალავერდის“ შესანარჩუნებლად. თავად კონსტანტინე სიდამონ-ერისთავი იყო მისი გადარჩენით დაინტერესებული. იგი მზად იყო, კვლავ გაეღო თანხა, ოღონდ ვინმე გამოჩენილიყო ისეთი, ვინც „ალავერდის“ პატრონობას იკისრებდა. არც ბატონ მამიას დაუკლია ცდა, მაგრამ რამდენი ახალი ქართველიც მიიყვანა „ალავერდში“, არც ერთმა არ ივარგა. ორი კვირის მერე გარბოდნენ. როგორ არ სცადეს, მაგრამ ვერავინ დააკავეს. ვინმე ღირსეული ადამიანი რომ გამოჩენილიყო, „ალავერდი“ ისევ მათი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი 2003 წელს გაიყიდა.

ბატონ მამიას ორი შვილი ჰყავს, ვერა და ალფრედი (გურამი), ასევე ჰყავს სამი შვილიშვილი: მაია (20 წ.), გრეგორი (24 წ.) და მაიკლი (31 წ.).

ბატონი მამია საქართველოს, მეორედ, 2012 წელს, შვილიშვილებთან ერთად, ესტუმრა.

იგი წლების განმავლობაში ეწევა ქველმოქმედებას. ეხმარებოდა საფრანგეთში მცხოვრებ ბატონ ვიქტორ ნოზაძეს, უყურადღებოდ არ დაუტოვებია როგორც თავის მიწა-წყალზე მცხოვრები ნათესავ-მეგობრები, ისე ამერიკაში ჩასული ქართველებიც. ექვსი წელია ამერიკაში ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორ პიროვნებას როგორც მატერიალურად, ისე მორალურად.

ᲘᲐᲛᲖᲔ ᲛᲭᲔᲓᲚᲣᲠᲘ, *XII კლასი*
ᲚᲐᲨᲐ ᲣᲜᲒᲘᲐᲫᲔ, XI კლასი
www.emigrantebi.weebly.com

თვალსაზრისი

ეროვნულ საკითხებზე ერთიანობის სესხებზე ეროვნულად

გამოწვევები არაქართულენოვან სასკოლო განათლებაში – წერისას ვიყენებ მთავრულ ასოებს ისევე, როგორც ყველა ანბანური დამწერლობა. სანამ პროფესიონალთა ჯგუფი თანამედროვე ქართულისთვის მთავრულ ასოებს დაამუშავებდეს, ვსარგებლობ ქართული ასომთავრულით.

საქართველოს საჯარო სკოლების 10% არაქართულენოვანია. ნქ სწავლება სომხურ, აზერბაიჯანულ ან/და რუსულ ენებზე მიმდინარეობს. 25 წლის განმავლობაში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ამ სკოლებისთვის ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ: 1. ნაცილებით მეტის გაკეთება შეიძლებოდა და ევალებოდა სახელმწიფოს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამ მიმართულებაზე გადის საქართველოს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილის ინტეგრაცია ქართულ სამოქალაქო საზოგადოებაში. 2. ნადადგმული ნაბიჯები, ხშირ შემთხვევაში, იყო არათანმიმდევრული და სპონტანური, რაც იწვევდა ფინანსური და ადამიანური რესურსების არაეფექტოვან (არაეფექტურ და არაეფექტიან) ხარჯვას... 3. ბღემდე მწვავედ დგას ქართული ენის ცოდნის საკითხი, ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა პრაქტიკულად ვერ ახერხებს სახელმწიფო ენაზე კომუნიკაციას.

10 წლის განმავლობაში ვმუშაობ ეთნიკური უმცირესობების განათლების მიმართულებით. ყესაბამისად, დამიგროვდა საკმაო გამოცდილება და ინფორმაცია, რომელსაც ამ წერილის მეშვეობით გავუზიარებ დაინტერესებულ მკითხველს. ესევე, გამოვთქვამ იმედს, აქ წარმოდგენილ საჭიროებებს გაითვალისწინებენ როგორც რიგითი პროფესიონალები, ასევე გადაწყვეტილების მიმღებნიც. ყევეხები რამდენიმე თემას.

1. **ერაბაზე ეჩს ბესიჭრებზე�აზეcაც.** საბჭოთა პერიოდში ქართული ენის სწავლებას არაქართულენოვან სკოლებში არ ექცეოდა ყურადღება – არც საგაკვეთილო საათები იყო გამოყოფილი, არც ადეკვატური სახელმძღვანელოები არსებობდა და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არც პროფესიონალი მასწავლებლები ჰყავდა სკოლას. საბჭოთა რეჟიმის დასრულების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ, ამ რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, ნახეთი), ქართულის სწავლების გაძლიერების მიზნით, მოხალისე მასწავლებლები გაგზავნა. სახელმწიფოსგან მხარდაჭერის პირობამიცემული ენთუზიასტი მასწავლებლები მალე ყურადღების მიღმა დარჩნენ და ბევრმა მათგანმა დატოვა კიდეც სკოლა. მე პირადად ვიცნობ ისეთ პედაგოგებს, რომლებიც, მიუხედავად ყველაფრისა, დარჩნენ სკოლებში და დღემდე პირნათლად ემსახურებიან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს. ბაგალითად, ქალბატონი **ნლარა ფოცხვერაშვილი** ფოკაში, ქალბატონი **ჩანა ვიტაძე** ყაუმიანში და ქალბატონი **ხია ბარგოშვილი** ნორელოვკაში და სხვებიც, რომლებსაც აქ ვერც ჩამოვთვლი და ყველას არც ვიცნობ, სწორედ 90-იანი წლებიდან მოკიდებული იმ პირველი ნაკადის პედაგოგები არიან და დღემდე ერთგულად აგრძელებენ სკოლაში მუშაობას.

2004 წელს ხელისუფლებამ დაიწყო პროექტი „მომავალი იწყება დღეს“, რომელშიც ჩავერთე მეც და ვმუშაობდი ჩალკის რაიონის სოფელ ნიაზმის სკოლის ისტორია-გეოგრაფიის მასწავლებლად. პროექტის ფარგლებში ქართული ენის, ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლები დასაქმდნენ იმ სკოლებში, სადაც გამოცხადებული იყო ვაკანტური ადგილები. ესეთი მასწავლებლების რაოდენობა 40-ს აღწევდა. პროექტმა მუშაობა 2 წლის შემდეგ დაასრულა, თუმცა, მისი ზოგიერთი მონაწილე საკუთარი ენთუზიაზმით მაინც დარჩა ადგილობრივ სკოლებში (ნმასაც ვგულისხმობდი არათანმიმდევრულობაზე საუბრისას – სახელმწიფომ, პროექტის განვრცობისა და გაღრმავების ნაცვლად, უარი განაცხადა მის გაგრძელებასა და დაფინანსებაზე).

ბფრო მასშტაბური პროგრამის განხორციელება დაიწყო 2009 წელს. პროგრამა, საბედნიეროდ, დღემდე წარმატებით ხორციელდება და გულისხმობს კვალიფიციური (სერტიფიცირებული) პედაგოგების წარგზავნას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სკოლებში. პროგრამა „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ (ინიციატორი და ხელმძღვანელი – **ბაია ვილაშვილი**) დღეისათვის 90-მდე სკოლას მოიცავს და იგი ყოველწლიურად ფართოვდება რაოდენობრივი, ანუ მასში ჩართული სკოლების თვალსაზრისით. პროგრამა იხვეწება ხარისხობრივი თვალსაზრისითაც – მის ფარგლებში ტარდება ტრენინგები ადგილობრივი მასწავლებლებისთვის, კონფერენციები როგორც რეგიონული, ასევე ეროვნული მასშტაბით. პედაგოგები თანამშრომლობენ და მონაწილეობენ სამინისტროსა თუ სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებაში.

ნიდევ ერთი პროგრამის განხორციელება დაიწყო 2011 წელს. პროგრამამ, „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, მოიცვა პრაქტიკულად ყველა არაქართულენოვანი სკოლა. ჟეგიონების სკოლებში წავიდნენ მოხალისეები, რომლებიც ადგილობრივ ქართული ენის მასწავლებლებს ეხმარებოდნენ გაკვეთილების მომზადებასა და ჩატარებაში. პროგრამა (კოორდინატორი – **ნამარ ნეკელიძე**) მოდიფიცირებული სახით დღემდე გრძელდება და ამჟამად მასში ჩართულები არიან ქართული ენის, ისტორიისა და გეოგრაფიის დიპლომირებული მასწავლებლები. ეგი კარგი ინსტრუმენტია იმისთვის, რათა მოსწავლე არ დარჩეს ისეთი მასწავლებლის პირისპირ, რომელმაც არ იცის ის ენა, რომელსაც ასწავლის. ნაგიკვირდებათ და, ასეთი მასწავლებლები ჯერ კიდევ მუშაობენ სკოლებში და სკოლა მას არ/ვერ ათავისუფლებს, რადგანაც, ზოგიერთ შემთხვევაში, მის კვალიფიკაციას ადასტურებს სახელმწიფოს მიერ გაცემული დიპლომი, ზოგიერთ შემთხვევაში კი ვაწყდებით დირექციის მხრიდან არაკეთილსინდისიერ მიდგომას – პროფესიონალი ალტერნატივის გამოჩენის შემთხვევაშიც კი იგი უარს ამბობს ძველი კადრის ჩანაცვლებაზე. ყესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულია კეთილშობილური ნაბიჯი – სკოლას უგზავნის ქართული ენის მატარებელ დამხმარე კადრს, რომელიც ადგილობრივ მასწავლებელს დაეხმარება როგორც გაკვეთილის ჩატარებაში, ასევე, მონდომების შემთხვევაში, ენის შესწავლასა და პროფესიულ ზრდაშიც.

ყეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ დღემდე მაინც მწვავედ რჩება პროფესიონალი კადრების საკითხი. სამინისტროს მხრიდან ცენტრალიზებული წესით განხორციელებული პროგრამები ვერ ახერხებს სრულად დააკმაყოფილოს მოთხოვნა. ჯერ კიდევ არსებობენ სკოლები, სადაც დაინტერესებული ადამიანი ადვილად მონახავს ისეთ ქართულის მასწავლებელს, რომელიც გამართულ კომუნიკაციასაც კი ვერ ახერხებს ქართულ ენაზე. ნრადა, ასეთი მასწავლებლებისთვის დირექციას მიკუთვნებული აქვს ხოლმე დაწყებითი კლასების გაკვეთილები. ბაწყებით კლასებში ენის სწავლება კი არის ყველაზე საშური, ეფექტური, სენსიტიური. ენის სწავლება არ გულისხმობს ე. წ. „ადვილ“ და „რთულ“ საფეხურებს. პირიქით, გარკვეული თვალსაზრისით პირველკლასელი მოსწავლის სწავლება უფრო რთულიცაა. ყესაბამისად, ამ დროს მოსწავლის მიმართ დაშვებული შეცდომების გამოსწორება ერთობ ძნელდება და ზოგიერთ შემთხვევაში გამოუსწორებელიცაა...

სახელმწიფო ცდილობს და ახერხებს ცხრა მთის გადაღმიდან სკოლებისთვის ინგლისური ენის მატარებლების მოწვევას. ბრჯერ უფრო მეტი მონდომებით უნდა მოხერხდეს ქართული ენის კვალიფიციური მასწავლებლებით სკოლების უზრუნველყოფა.

ნქვე შევეხები მასწავლებელთა სერტიფიცირების საკითხს. 2010 წლიდან მიმდინარე სასერტიფიკაციო გამოცდები არ გულისხმობდა გამოცდას ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთათვის. პირველად ეს გამოცდა ჩატარდა მიმდინარე წელს. ბასწავლებლებმა, ვისაც აღებული ჰქონდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სერტიფიკატი, ეს გამოცდა არათუ უპრობლემოდ ჩააბარეს, არამედ არაადეკვატურად მაღალი შედეგები აჩვენეს. ნმიტომ არაა საჭირო ქართულის, როგორც მეორე ენის გამოცდის ჩაბარება მოეთხოვოს მას, ვისაც უკვე აღებული აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სერტიფიკატი. ნუ მაინცდამაინც, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში იყოს გათვალისწინებული მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგიური საკითხები, რაც არც ერთ ფილოლოგს არ გაუჭირდება...

2. **ესაბეჭდი „4+1“.** ბათხ წელიწადზე მეტია სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მიმართულებით. ნერძოდ, პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე, უმაღლესი სასწავლებლები სტუდენტებს ღებულობენ მხოლოდ მშობლიურ ენაზე (სომხური, აზერბაიჯანული, რუსული) ჩაბარებული ზოგადი უნარების საფუძველზე. ეს სტუდენტები ირიცხებიან ქართული ენის მოსამზადებელ ფაკულტეტზე, ერთი წლის განმავლობაში ინტენსიურად სწავლობენ ენას და გარკვეული საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ ირჩევენ მათთვის სასურველ ფაკულტეტს სწავლის გასაგრძელებლად.

ნმ რამდენიმე წლის განმავლობაში უკვე ასობით ეთნიკურად სომეხი და ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქართველი ეუფლება ქართულ უმაღლეს განათლებას. ყედეგად რამდენიმე წელიწადში თანდათანობით გადაიჭრება ის კადრობრივი დეფიციტი, რომელიც მწვავედ დგას ზემოდასახელებულ სკოლებში. ეასათვალისწინებელია ისიც, რომ კადრების პროფესიონალიზმი მხოლოდ ქართული ენის მასწავლებლების შემთხვევაში არაა პრობლემატური. პრობლემატურია სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა კვალიფიკაციაც. ჩლების განმავლობაში ქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები გადიოდნენ მრავალფეროვან ტრენინგსა და მომზადებას (და მაინც საეჭვო რჩება მათი კვალიფიკაციის საკითხი, რასაც ადასტურებს სასერტიფიკაციო გამოცდების მონაცემები.). ნმ კატეგორიის მასწავლებელთათვის პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. ნდვილი წარმოსადგენია, როგორი იქნება სწავლების ხარისხი ამ სეგმენტში (ჩვენ ზოგად სურათზე ვსაუბრობთ, თორემ ჩემმა კოლეგა **ყანა ბარუტიანმა** ქართულ ენაზე ჩააბარა მათემატიკაში სასერტიფიკაციო გამოცდა. ნდვილი წარმოსადგენია მისი პროფესიონალიზმის ხარისხი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული მისთვის არათუ მშობლიური ენა, მეორე ენაც კი არაა. ესეთი მასწავლებლები, ცხადია, არსებობენ სხვა სკოლებშიც).

თვალსაზრისი



ჩქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნულ პროგრამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სკოლების კვალიფიციური კადრებით მომარაგების თვალსაზრისით. ზადრებით, რომელთაც ეცოდინებათ სახელმწიფო ენა იმ დონეზე, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმწიფოს მიერ (ანდა არასამთავრობო სექტორის მიერ) დაგეგმილი ტრენინგები, სხვა ღონისძიებები... ეს ღონისძიება სრულყოფილი და სრულფასოვანი გახდება, თუ სახელმწიფო დააფინანსებს სხვადასხვა პროექტებს, რომლებიც ამ სტუდენტების ქართულენოვან გარემოში მეტად ინტეგრაციას გაითვალისწინებს...

3. **სწავლებაძიებრივი ფაქტორი.** საბჭოთა პერიოდში სახელმძღვანელოების შექმნის გარკვეული გამოცდილება არსებობდა. ეს სახელმძღვანელოები დაფუძნებული იყო გარკვეულ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე და იმ პერიოდში, ავად თუ კარგად, ასრულებდა თავის ფუნქციას. (სამაგალითოდ შეგიძლიათ იხილოთ: ე. ნფხაზავა, ე. ქამყრელიძე, „ქართული ენა სომხური სკოლის III კლასის სახელმძღვანელო“, ტბილისი, „ენტელექტი“, 2002; თ. ჩინჩალაძე, ტ. ყარათელი, ჯ. ნმირგულიანი, „ქართული ენა და ლიტერატურა – სომხური სკოლის X კლასის სახელმძღვანელო, ტბილისი, „ენტელექტი“, წელი არაა მითითებული;) ჩვენ აქ არ ვაპირებთ იმ სახელმძღვანელოების არც მეთოდოლოგიური და არც ვიზუალური ხარისხის განხილვას.

ქარდატეხა ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოების ისტორიაში მოხდა 2005 წელს, როდესაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით შეიქმნა სახელმძღვანელო „ტავთავი“, მეორე ენის სწავლების ექსპერტთა (ტ. ჯაყელი, ხ. ქაბუნია, თ. ენასარიძე, თ. თელიქიძე, ჩ. ყარაშენიძე) მიერ. სახელმძღვანელო, რომელიც სულ სამი დონე გამოიცა, დაფუძნებული იყო ენის სწავლების თანამედროვე და მოწინავე იდეებზე, გაუმჯობესებული იყო მისი პოლიგრაფიული ხარისხიც, მოიცავდა მოსწავლის წიგნს, სამუშაო რვეულსა და მასწავლებლის წიგნს. მასწავლებლის წიგნში მკაფიოდ იყო გაწერილი მეთოდური რეკომენდაციები პედაგოგებისთვის...

სახელმძღვანელო „ტავთავის“ შემდგომი დონეების გამოცემა აღარ გაგრძელებულა (ქანსაზღვრული იყო ხუთი დონის გამოცემა.). 2010 წლიდან შემოდის ახალი სახელმძღვანელოები – „ქართული ენა“. ჩმჟამად დაბეჭდილი და დარიგებულია 12 დონის სახელმძღვანელო. ეს სახელმძღვანელოებიც (ავტორები: თ. თელიქიძე, ჩ. ქორდელაძე, ტ. ჯაყელი, ტ. ჩერაძე) სწავლების თანამედროვე მეთოდიკაზეა დაფუძნებული და გარკვეულწილად აგრძელებს „ტავთავის“ ტრადიციას. თისასალმებელია, რომ ბოლოსდაბოლოს შეიქმნა თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ისეთი რესურსი, რომელიც მთლიანად ფარავს ყველა კლასს. თაგრამ გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორიც. ჩვენს რეალობაში მოსწავლეები ვერ აკმაყოფილებენ სტანდარტის იმ მოთხოვნებს, რომლებიც გაწერილია კონკრეტული კლასისთვის. თაგალითად, მეშვიდეკლასელი მოსწავლე შესაძლოა იყოს მეოთხე კლასის სტანდარტის მოთხოვნების დონეზე. ყესაბამისად, პედაგოგი იძულებულია ამ კლასში შეიტანოს მეოთხე დონის სახელმძღვანელო. თეოთხე დონის სახელმძღვანელო კი ისეთი თემატიკითაა დატვირთული, რომელიც მეშვიდეკლასელი მოსწავლისთვის არაა საინტერესო. საწყის ეტაპზე ჩაფიქრებული იყო ამ ფაქტორის გათვალისწინებაც, მაგრამ, სამწუხაროდ ეს ვეღარ მოხერხდა... ჩღსანიშნავია, რომ ამ სახელმძღვანელოებს აქვს გარკვეული ლაფსუსები, რაც მოსალოდნელიც იყო მათი შემჭიდროებულ ვადებში მომზადების გამო და რასაც ავტორები, იმედია, აუცილებლად გამოასწორებენ ახალი გამოცემისას...

4. **ს�ენა სჩეზთაძიებრივი ფაქტორი.** სამწუხაროდ, დღესდღეობით სახელმძღვანელო სწავლებაში კვლავ ერთადერთ ძირითად სასწავლო რესურსად რჩება (ქავიხსენოთ 20 წლის წინანდელი პერიოდი, როდესაც მოსწავლეთა უმრავლესობას არც ჰქონდა სახელმძღვანელოს ყიდვის საშუალება, პროგრესს შევამჩნევთ და გუნება გამოგვიკეთდება...). ჩმიტომაც იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლის წარმატებაში. საინტერესოა, რა სახელმძღვანელოებით სწავლობენ ჩვენი, არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები სხვადასხვა საგანს.

ჩთწლეულების განმავლობაში ეთნიკური უმცირესობების სკოლებში სახელმძღვანელოები და სასწავლო პროგრამები მთლიანად (გარდა, ცხადია, ქართული ენისა, საქართველოს ისტორია-გეოგრაფიისა) მეზობელი სახელმწიფოებიდან (სომხეთი, ჩზერბაიჯანი, ჯუსეთი) შემოდიოდა. ჩმ მიმართულებით გარღვევა მოხდა 2006-07 წლებში (ე. წ. ჯანაშიას ეპოქა), როდესაც ყველა საგნის სახელმძღვანელო ითარგმნა და შეიქმნა „ქართული“ სახელმძღვანელოების სომხური, აზერბაიჯანული, რუსული ანალოგები. ეს, რომ სახელმძღვანელოთა თარგმანი ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს, ლაფსუსია, თუმც მნიშვნელოვანი, და დროთა განმავლობაში უნდა გამოსწორდეს...

ჯოკლედ, დღეისათვის ყველა საგანში არსებობს მოსწავლეთა მშობლიურ ენებზე ნათარგმნი ქართული სახელმძღვანელოები. ჩნუ თბილისში გამოცემული სომხურენოვანი ფიზიკის, ბიოლოგიის და ა. შ. სახელმძღვანელოები. ყველა საგანში, გარდა მშობლიური ენებისა. სომხური ენისა და ლიტერატურის, აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები მომზადებული და გამოცემულია, შესაბამისად, ერევანში, ყაქოსა და ჯოსკოვში... ჩბა სად უნდა მომზადდესო, შესაძლოა იკითხოს მავანმა (აქ „მავანს“ არ აქვს პერსონიფიცირება). ცხადია, ტბილისში, საქართველოში.

ჯოგორც ცნობილია, მშობლიური ენის სწავლებას, გარდა ენობრივ-ლიტერატურული დანიშნულებისა, აქვს უზარმაზარი დატვირთვა მოქალაქის მსოფლმხედველობრივი და მოქალაქეობრივი მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებაში. ყესაბამისად, მეზობელი სახელმწიფოების მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები მოსწავლეს უყალიბებს არა ქართულ, არამედ სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ მსოფლ და პოლიტაღქმას. ჩუცილებელია სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ლეტრატურულ ნაწარმოებებთან ერთად, აქ შექმნილ სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი იყოს (დაახლ. 30%) ქართული ლიტერატურის ნათარგმნი ნიმუშები. ჩღსანიშნავია, რომ ამ სახელმძღვანელოებში გათვალისწინებული უნდა იყოს ის მეთოდოლოგიური მიღწევები, რაც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას არის... (ჩმის შესახებ რამდენიმე წლის წინაც ვწერდი ამავე გაზეთში, ყველა ახალ მინისტრსაც პირადად მივწერე, თუმცა ჯერჯერობით არავითარი ძვრა არაა. თით უმეტეს, რომ ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენების სტანდარტი მომზადებული ჰქონდა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ეროვნული ურთიერთობებისა და ინტეგრაციის ცენტრს“).

5. **ქეზერეეზაკ ეერერაზეკრ ერჭერაკაზეზერაზეერ სკაზეკყე**

ქილინგვური განათლება პირდაპირ მიჩნეულია ერთ-ერთ იმ კონტრიბუციად, რომელიც სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ეთნიკური უმცირესობების მიმართ. ქარკვეულ შემთხვევებში სწავლება უმრავლესობის ენაზე მიმდინარეობს და მეორე სასწავლო ენად მოსწავლეთა მშობლიური ენის შემოტანა იგულისხმება. საქართველოში კი პირიქითაა – ამ სკოლებში გაძლიერება სჭირდება სახელმწიფო ენის სწავლებას.

ქილინგვურ განათლებას მთელ მსოფლიოში უკვე საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ზოგიერთ სახელმწიფოში (მაგალითად, ზატვია) განათლების ეს მიდგომა ინსტიტუციურ რანგშია აყვანილი. ყესაბამისად, დაგროვილია მნიშვნელოვანი გამოცდილება სწავლება-სწავლის მეთოდების, მოდელების, რესურსების მიმართულებით.

2009 წლამდე გარკვეული მცდელობები საქართველოს სკოლებშიც შეინიშნებოდა, ძირითადად საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა (მაგალითად, „სიმერა“, „საქართველოს ეროვნებათშორისი ურთიერთობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრი“ – ყ. ეაბატაძე) და კერძო ენთუზიასტების (მაგალითად, ზ. ქრიგულე, თ. ქურბო, ზ. ტუშური, ნ. ჩოჩიშვილი, ხ. ქურეშიძე, თ. ხალალიანი, ე. ჭსპოიანი...) მეოხებით. 2009 წლიდან კი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს 40 არაქართულენოვანი სკოლების დაწყებით კლასებში განხორციელება დაიწყო ბილინგვური განათლების საპილოტე პროგრამამ. სამინისტრო სრულად გახსნილი იყო საერთაშორისო ექსპერტების (ზიგიტა ქრიგულე, თ. ქურბო) რეკომენდაციების მიმართ. სკოლებისთვის შეთავაზებულ იქნა ბილინგვური სწავლების სხვადასხვა მოდელი, რომელთაგანაც სკოლებმა შეარჩიეს მათთვის ყველაზე სასურველი და მისაღები. ესეთი მიდგომა ამ საპილოტე სკოლებში გრძელდებოდა 2 წლის განმავლობაში, ხოლო 2011 წლიდან სამინისტრომ ერთიანი მიდგომა შეიმუშავა. ზერძოდ გადაწყდა, რომ ყველა სკოლის დაწყებით კლასებში სწავლების მესამედი უნდა წარმართულიყო სახელმწიფო ენაზე...

ჩმჟამად დაწყებით კლასების ყველა საგნისთვის დაბეჭდილია ბილინგვური სახელმძღვანელოები, რომლებშიც ტექსტების ერთი მესამედი მოცემულია ქართულ ენაზე, ხოლო დანარჩენი, ანუ ძირითადი ნაწილი, რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე. ღღსანიშნავია, რომ ამ პრინციპით შედგენილი სახელმძღვანელოები, ხშირ შემთხვევაში, გამოუსადეგარი ხდება მასწავლებლებისთვის, ისინი ვერ ახერხებენ ქართული ნაწილის ადეკვატურად მიწოდებას მოსწავლეთათვის. თათ არ აქვთ არც საკმარისი ცოდნა ქართული ენისა, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, არც მეთოდოლოგიური ტრენინგები გაუვლიათ ბილინგვური სწავლების მიმართულებით.

ხემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს წინაშე სერიოზული გამოწვევები დგას ბილინგვური სწავლების დანერგვის გზაზე. ეს საქმე მით უფრო საშურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსახლეობა ღიაა შეთავაზებული ინიციატივების მიმართ.

6. სჩეზ ეერერეზეკრ ეერერეზეკ

ერ შეიძლება არ ვახსენოთ ის საქმიანობები, რომლებსაც არაქართულენოვანი სკოლებისთვის ეწევიან სხვა აქტორები. სირველ რიგში უნდა აღინიშნოს „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ (ხელმძღვანელი – ყალვა ეაბატაძე) მოღვაწეობა. მართლაც მოღვაწეობა და არა საქმიანობა. ჩმ ორგანიზაციის გუნდი წლების განმავლობაში მოწინავეობს ყველა იმ საკითხში, რაც არქართულენოვან განათლებას უკავშირდება. სომხური და აზერბაიჯანული ენების მასწავლებელთა გადამზადება, ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა გადამზადება, პროფესიული და ნორმატიული ლიტერატურის თარგმნა, ბილინგვური მასწავლებლების მომზადება... ეს მცირე ჩამონათვალია. ჩემთვის პირადად ყველაზე სასიხარულო და ძვირფასი საქმე განხორციელდა ამ ბოლო დროს – შეიქმნა ასობით ავთენტური სასწავლო, დონეებად დაყოფილი ტექსტი, დაურიგდა სკოლებს და განთავსდა ვებპორტალზე (როგორც ცნობილია, ავთენტური და ადეკვატური ტექსტების სიმწირეს მტკივნეულად განვიცდით ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგები).

ერაქართულენოვანი სკოლებიცაა ჩართული იმ აქტივობებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd), ამერიკელი ხალხის ფინანსური მხარდაჭერით (USAID). სროექტი ამჟამად საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობს და მომავალში უფრო მეტი სკოლის ჩართვა მოიაზრება. თონაწილე სკოლების მასწავლებლები ინტენსიურ გადამზადებას გადიან სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის მიმართულებით. თათვე მიეწოდებათ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებიც.

ესეთი პროექტები და აქტივობები (ცხადია, აქ ყველა მათგანი არაა მიმოხილული) ხელს შეუწყობს არაქართულენოვანი სკოლების დაწინაურებას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, რაც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს განმტკიცების ერთი აუცილებელი განმაპირობებელია.

ქიორგი ვაუჭიძე
ყაუმიანის # 3 საჯარო სკოლის პედაგოგი

ინფორმაცია

„ეტალონი“ მესტიაში

4 ნოემბერს მესტიას ყველაზე რეიტინგული მედიაპროექტის – „ეტალონის“ – „მამა“ **გოჩა ტყეშელაშვილი** ესტუმრა. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონფერენციო დარბაზი ვერ იტევდა ზემო სვანეთის სკოლების მოსწავლე-მასწავლებლებს. ღონისძიებას ესწრებოდნენ: მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი **კაპიტონ ჟორჟოლიანი,** მაჟორიტარი დეპუტატი **ვიქტორ ჯაფარიძე**, რესურსცენტრის უფროსი **დარეჯან ნიგურიანი** და სხვ. ვიდრე ბატონი გოჩა აუდიტორიას მიმართავდა, დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს: კაპიტონ ჟორჟოლიანმა და დარეჯან ნიგურიანმა. გოჩა ტყეშელაშვილმა კი ისაუბრა „ეტალონის“ მნიშვნელობაზე და საერთოდ განათლების, წიგნიერების შესახებ. მან მოუწოდა ახალგაზრდებს: „იყავით თამამები და არა თავხედები!“ მოსწავლეები აქტიურად ჩაებნენ კითხვა-პასუხის რეჟიმში. ყველაზე აქტიური მოსწავლეები დაჯილდოვდნენ წიგნებით.

ვიქტორ ჯაფარიძემ გააკეთა განცხადება, რომ ყველა წარჩინებული ოქროს მედლის კანდიდატი მოსწავლე, ყოველთვიურად, მიიღებს სტიპენდიას, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს მოტივაციას და სწრაფვას განათლებისკენ. დასასრულ მოსწავლე-მასწავლებლებმა სურათები გადაიღეს ბატონ გოჩასთან.

ჩვენი სკოლა შვიდი მოსწავლით – **მარიკა დავითიანი** (IX კლასი), **თამარ ჭკადუა** (IX კლასი), **ბაჩუკი ჭკადუა** (VIII კლასი), **ლექსო ჭკადუა** (VII კლასი), **ანა კობახიძე** (VII კლასი), **დავით კვირიკაძე** (VII კლასი), **ლუკა კვირიკაძე** (VI კლასი) და ხუთი მასწავლებლით – **იამზე კვირიკაძე, ვენერა გერლიანი, მაცი ჭკადუა, მანანა კვირიკაძე, ლალი მარგიანი** – იყო წარმოდგენილი. ჩვენთან იყო ჩვენი სოფლის ახალგაზრდა თავკაცი **მერაბ საბანიძე**.

ბატონ გოჩას თეთრი სვანური ქუდი დავახურეთ, რომელსაც ჩვენი სასიქადულო პოეტის ვალერიან საღლიანის სიტყვები მოვაყოლეთ: *„ვისაც ნამუსი არ გააჩნია, არ დაახუროთ სვანური ქუდი!“.*

15 ნოემბერს თბილისისკენ გავემგზავრეთ. მგზავრობა მესტიის კულტურის განყოფილებამ და ჩვენი სკოლის დირექციამ (დირექტორი – **ნაზი ჭიღლაძე-საბანაძე**) დააფინანსა, რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ. ჩვენ ანსამბლ „რიჰოსთან“ მგზავრობის პატივი გვხვდა წილად. მთელი გზა სიმღერით გავიარეთ და დაღლა არც გვიგრძვნია.

16 ნოემბერს, „ეტალონის“ მორიგი გადაცემის ჩაწერაზე, ტელევიზიის წინ შევიკრიბეთ. გადაცემაში საინტერესო სიურპრიზების შესახებ 29 ნოემბერს გაიგებს უმრავლესობა, მე კი დღეს მინდა გესაუბროთ. ჩაწერას ესწრებოდნენ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის რწმუნებულები: **მაიზერ ჯაფარიძე და კაპიტონ ჟორჟოლიანი**, აპარატის თანამშრომლები: **ელენე განაია** და **თამარ გოშთელიანი**, მაჟორიტარი დეპუტატი **ვიქტორ ჯაფარიძე** მეუღლითურთ, პოეტი, ისტორიკოსი **ერეკლე საღლიანი**, ლახამულის ახალგაზრდა თავკაცი **მერაბ საბანიძე** და მონაწილე მოსწავლეთა გულშემატკივრები. ბატონმა გოჩამ დარბაზს ამცნო, რომ მაჟორიტარმა დეპუტატმა, ვიქტორ ჯაფარიძემ გამარჯვებულისთვის დააწესა ფულადი პრემია (1000 ლარი), ერთწლიანი სტიპენდია (100 ლარი თვეში) და ყველა მონაწილისთვის ას-ასი ლარი. მან ისიც აღნიშნა, რომ ასეთი უხვი გადაცემა მას არ ჰქონია.

სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ სვანმა ბავშვებმა ნამდვილად კარგად გაართვეს თავი „ეტალონის“ შეკითხვებს. არ შემიძლია არ გამოვყო მესტიის ხერგიანის სახელობის №2 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი **რომან რატიანი**, რომელიც 65 ქულით ლიდერობდა, თუმცა ფინალში, ორი ქულით, მას ჭუბერის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლემ **ირაკლი აფრასიძემ** (22 ქულა) გაუსწრო და მესტიის „ეტალონის“ ტიტული მოიპოვა. ირაკლი კონკურსის „მე მიყვარს კითხვა“ სტიპენდიანტიცაა. ვულოცავ ირაკლის და ყველა მონაწილეს! ამაყი ვარ, რომ სვანი ბავშვები ჩვენი საზოგადოების ღირსეული ცვლა არიან...

ლალი მარგიანი
ლახამულის საჯარო სკოლის მასწავლებელი



ზაურ გამყრელიძე – კონკურსის „თანამედროვეობის ამბები“ გამარჯვებული

კავკასიონის ქედის კალთაზე, შოდას და კატინვერას ფრთებქვეშ, ერთი პატარა, კოხტა ქალაქი ონი ცოცხლობს... მთავარი, რითაც ის დღემდე ხმიანობს და ამაყობს, მისი ნიჭიერი და საინტერესო მაცხოვრებლები არიან. დიახ, ქალაქი ონი ჩვენს ქვეყანაში ოდითგანვე ჩამოყალიბდა როგორც სულიერი კულტურის ცენტრი. მიუხედავად იმისა, რომ ონი თითქმის დაცარიელდა, ვინც დარჩა, ამ ტრადიციას დიდი სიყვარულითა და შემართებით აგრძელებს და ცდილობს, „არ დაუშვას ფარდა!“

დღეს მინდა გიამბოთ ახალგაზრდა ყმაწვილზე, რომელიც ასეთ ნიადაგზე ამოიზარდა და ჩვენი სკოლის და მთლიანად ონის რაიონის სანიმუშო და საამაყო ადამიანად იქცა.

ონის საჯარო სკოლის მოსწავლე **ზაურ გამყრელიძე** მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, წიგნიერი და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მოღვაწე ადამიანების გარემოცვაში იზრდება. თავისი ნიჭით, ინტერესით და შრომისმოყვარეობით ყოველთვის იქცევს პედაგოგთა ყურადღებას. ზაური ონის საჯარო სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლეა. მოგეხსენებათ, ნიჭიერი ადამიანი ყველაფერში ნიჭიერია და ზაურმა თავისი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი ქანდაკების ხელოვნებაში კიდევ უფრო საინტერესოდ წარმოაჩინა.

ხელოვნების დანიშნულება მხოლოდ რეალობის ასახვა როდია?! საკვირველია, რომ თექვსმეტი წლის ახალგაზრდა ხელოვნების ასეთ სწორ განმარტებას იძლევა: *„ხელოვნება ერთდროულად განტვირთვის საშუალებაა და საკუთარი გრძნობებისა და შეხედულებების გაცოცხლების შესაძლებლობა“.*

თავდაპირველად, ყველაფერი ასე დაიწყო: დაახლოებით 4 წლის ასაკში, პლასტილინით ფეხსაცმელები გამოძერწა. როგორც თავად იხსენებს: *„პატარაობიდანვე მქონდა შეხება პლასტილინთან, მომწონდა პროცესი და ნელ-ნელა უკეთესად გამომდიოდა“.* შემდეგ იყო სამკაულები. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი, სკულპტურული პორტრეტების მთელი სერია შექმნა. ძერწავდა ცნობილ სახეებს, სახასიათო პერსონაჟებს და ნელ-ნელა მისი პორტრეტები სიმბოლურ გამოსახულებებში გადაიზარდა. თუმცა, ამ პერიოდში მისი ყურადღება არქეოლოგიამ მიიპყრო, რაც მისთვის ერთგვარი ჰობი გახდა. არქეოლოგიით დაინტერესება ზაურის პედაგოგის, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცდონეობის წრის ხელმძღვანელის, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლის, **გია ბერიშვილის** დამსახურებაა. სწორედ მან აზიარა ზაური ისტორიისა და არქეოლოგიის სიყვარულს. მანაც საპასუხოდ, საოცარი სინატიფით და სიზუსტით შექმნა რაჭის ტერიტორიაზე აღმოჩენილი – ასტრალური ჭვირული ბალთის დასრულებული ასლი. დაახლოებით ორი წლის წინ კი, ზაურმა პირველი სერიოზული ქანდაკება შექმნა, შეცვალა ხედვა, შეცვალა ფორმა და გამოსახვის ტექნიკა. კითხვაზე, თუ რას მიაწერს ასეთ ტრანსფორმაციას, გვპასუხობს: *„კონკრეტულად ვერაფერს, ერთ მშვენიერ დღეს, მუშაობის პროცესში, ხელებმა თავად იპოვეს სტილი“.*

საქმე ისაა, რომ ზაური საუკეთესო მკითხველია, კითხულობს ბევრს, სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურას. განსაკუთრებით ისეთს, სადაც ავტორისეული განცდები და გრძნობები მძაფრადაა წარმოჩენილი. ჩემი აზრით, სწორედ პიროვნების ასეთმა „ზრდამ“ განაპირობა მის ხელოვნებაში სტილისა და ხედვის ცვლილება. მისი პიროვნული შეხედულებები, ნაფიქრი, ნააზრევი და სათქმელი იმდენად დიდი და ზოგადსაკაცობრიო გახდა, რომ ტრადიციულმა, რეალისტურმა ფორმებმა ვეღარ დაიტია და სიმბოლურ გამოსახულებებში გადაინაცვლა. *„ჩემი ნამუშევრები ერთდროულად ატარებს და არ ატარებს სათქმელს, ყოველი ადამიანი მასში სხვადასხვა რამეს ხედავს, ამიტომაც, არც ერთ ჩემს ნამუშევარს არ ვარქმევ სახელს – მნახველს არ ვართმევ ფიქრის საშუალებას“.* მართლაც, ყოველი მისი ახალი ნამუშევრის ხილვის შემდეგ ერთმანეთს „ვეჯიბრებით“ სახელის ორიგინალურად შერჩევაში. ამით ზაური კიდევ უფრო გვაკავშირებს თავის შემოქმედებასთან და შემოქმედებითი პროცესი ჩვენში – მნახველებში – გრძელდება.

ერთ მშვენიერ დღეს, ონის საჯარო სკოლაში, მოვიდა მოწვევა ლიტვის (2014 წლის ევროპის კულტურული დედაქალაქი) ხელოვნების სკოლა „მარა მიუზნიჩე“-დან. ისინი ჩვენი სკოლის მოსწავლეებს იწვევდნენ კონკურსზე, სახელწოდებით – „დღევანდელობის ამბები“. მოსწავლეებს უნდა შეექმნათ ორ ან სამგანზომილებიანი ნიმუში ლიტერატურული წყაროს ან მუსიკალური ნაწარმოების მიხედვით.

როგორც ზაური იხსენებს, სწორედ ამ დროს მას უკვე ჰქონდა იდეა ახალი სკულპტურის შექმნისა. ამერიკელი მწერლის, რეი ბრედბერის რომანი „451 გრადუსი ფარენჰეიტით“ გახდა მისი შთაგონების წყარო. *„როცა კონკურსის შესახებ გავიგე, მივხვდი, რომ სწორედ ის მიტრიალებდა თავში, რაც მჭირდებოდა. სკულპტურა ერთი ამოსუნთქვით შეიქმნა, ყოველგვარი გართულების გარეშე“..* ქანდაკება ლიტვაში გაიგზავნა და რამდენიმე კვირის წინ ასეთი სასიხარულო ცნობა მივიღეთ:

Добрый день!

С радостью информируем Вас, что работа Заура Гамкрелидзе получила Первое место в категории три димензионных работ в возрасте 13-15 лет.

Поздравляем Заура!

В ближайшее время будем высылать дипломы и награды всем участникам и победителям.

С уважением Илзе Энгеле, секретарь школы.

დიდი სიხარული აჩუქა ზაურმა ონის საჯარო სკოლას, თავის მშობლებს, პედაგოგებს, მთელ ქალაქს. ბედნიერებაა მსგავსი წუთების განცდა – როგორც პედაგოგს, გიხარია, რომ ხელი შეუწყვე ახალი ნიჭის გაბრწყინებას. როგორც ონელს გიხარია, რომ შენი ქალაქის სახელი კიდევ ერთხელ გახმიანდა ქვეყნის გარეთ და გიხარია, როგორც ქართველს, რომ საქართველოს საუკეთესო მომავალი ეზრდება და ეს მომავალი შენს სკოლაში, ერთი პატარა ქალაქის სკოლაში დიდი რუდუნებით იწრთობა. მიხარია, რომ თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ვულოცავ ზაურს ამ დიდ წარმატებას! ვულოცავ მის ოჯახს, ჩვენს სკოლას და მთელ რაიონს ამ დიდ სიხარულს! ეს საუკეთესო დასაწყისია! მე კი ვისურვებდი, რომ საზოგადოება უფრო მეტ ყურადღებას იჩენდეს ახალგაზრდებისა და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახლაგაზრდების მიმართ. ზაურს ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, სერიოზულად მოჰკიდებს თუ არა ხელს მოქანდაკის პროფესიას. მრავალმხრივ ნიჭიერი ახალგაზრდაა და თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებაზე ოცნებობს.

თეონა ჯაფარიძე
ონის საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

თემატური პლაკატები
დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. სოფლახალხო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი
2.50 ლარი

თემატური პლაკატები
მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი – ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა – დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი – გუსტავ კლიმტი
4. მენინები – დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა – მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი – კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება – რემბრანდტი
8. საძანელა – ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე – ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ძელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის ფასი
4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

მიმდინარეობს ხელმოწერა

წიგნის თვრო

- თეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი** ახალი
- მიგელ დელიბესი - **ორი რომანი** ახალი
- აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
- ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/აGE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან
ინტელექტი სკოლას

დიოგენე

გამომცემლობა „დიოგენე“



თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი



თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბერიოზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

ქიმია

განახლებული

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 8 ლარი

ფიზიკა

განახლებული

საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 8 ლარი

გეოგრაფია

განახლებული

საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 8 ლარი

ისტორია

ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

ბიოლოგია

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ისტორია

საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

მათემატიკა

ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ბიოლოგია

აბიტურიენტებისთვის

სიახლე

ლ. ბურდილაძე,
ნ. სიხარულიძე,
ქ. მაღრაძე,
დ. ნაზირიშვილი
პირველი ნაწილი – 10 ლარი
მეორე ნაწილი – 10 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >